1968

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეკემბერი
№ 12 1968 წ.

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტოეტიუდი ნორა ანთიძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იგი ხედავდა ლენინს



მხატვარი ა. ბისტი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ხშირად ეწყობა ძველი ბოლშევიკების შეხვედრები ახალგაზრდებთან, წითელი არმიის მეომრებთან. ამ შეხვედრებზე საინტერესო მოგონებებით გამოდის ამავე მუზეუმის პარტიული ორგანიზაციის წევრი, პარტიის წევრი 1916 წლიდან — ლუდმილა ვასილის ასული ჩესნოკოვა-აირაპეტიანი.

ცხოვრების ძნელი, მაგრამ სახელოვანი გზა განვლო ამ ქალმა.

დაიბადა 1898 წელს ქ. იალტაში, მოსამსახურის ოჯახში. 14 წლისამ მუშაობა დაიწყო. 1916 წელს შევიდა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში (ახლანდელი პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი). იგი მოსკოვის ზამოსკვორეჩიეს რაიონში მდებარეობდა. ეს რაიონი, რომლის ტერიტორიაზე კრემლიც იყო, მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე პროლეტარულ რაიონს წარმოადგენდა. ინსტიტუტის მოწინავე სტუდენტობა მჭიდროდ დაუკავშირდა რევოლუციურ პროლეტარიატს, რამაც ხელი შეუწყო მათ ჩაბმას რევოლუციურ ბრძოლებში. მოსკოვის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ეწეოდნენ როგორც მუშებსა და ჯარისკაცებში, ისე სტუდენტობაში.

ლუდმილა ვასილის ასული წარმატებით ასრულებდა პარტიის მოსკოვის კომიტეტის დავალებებს. 1916 წელს იგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

მეტისმეტად შფოთიანი იყო 1917 წლის შემოდგომა, დააპატიმრეს მრავალი აქტიური რევოლუციონერი. მუშაობა გრძელდებოდა ურთულეს ვითარებაში, ღრმა კონსპირაციისა და პოლიციის მხრივ თავდასხმის პირობებში. 1917 წლის ოქტომბერში ლუდმილა ვასილის ასული სხვა მოწინავე ახალგაზრდებთან ერთად მოსკოვის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში იყო და მამაცურად ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს. იგი მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების აქტიური მონაწილეა. მას გზავნიდნენ დაზვერვაზე, ამარაგებდა მებრძოლებს საკვებით, პირველ დახმარებას უწევდა დაჭრილებს.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას ლუდმილა ვასილის ასული უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა და ახალგაზრდა სახელმწიფოს შენების საქმეში აქტიურად ჩაება.

ლუდმილა ვასილის ასული ჯერ საგამომძიებლო ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ ზამოსკვორეჩიეს რაიკომში იყო პასუხსაგებ თანამდებობაზე. 1920 წელს რაიკომის მდივნად აირჩიეს. 1922 წელს ლუდმილა ვასილის ასული მუშაობასთან ერთად აგრძელებს სწავლას პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში. 1922 წლის ზაფხულში ის თბილისში ჩამოვიდა სტუმრად და მალე შეუძლოდ შეიქნა. მოსკოველ სტუდენტს ე. აირაპეტიანს დაევალა მისი გაცილება მოსკოვამდე. აირაპეტიანიც, კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტი იყო და გამოირჩეოდა ნიჭითა და შრომისუნარიანობით. მათ გაცნობას დიდი და ნაზი სიყვარული მოჰყვა. ისინი დაოჯახდნენ. 1930-35 წლებში აირაპეტიანების ოჯახი იტალიაში ცხოვრობდა, სადაც სამუშაოდ იყო გაგზავნილი ე. აირაპეტიანი.

ლუდმილა ვასილის ასული 1944-55 წლებში თბილისში მუშაობდა ეკონომის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად. 1955 წელს ისევ მოსკოვში დაბრუნდა. აქ იგი ხელმძღვანელობდა იმ სექციას, რომელმაც მოამზადა და ორ წიგნად გამოსცა ზამოსკვორეჩიეს ძველი ბოლშევიკების მოგონებები ვ. ი. ლენინზე. ერთ-ერთ მათგანში შესულია ლ. ვ. აირაპეტიანის მოგონებაც: „როცა ვუსმენდი ლენინს", მასში მოთხრობილია ორ შეხვედრაზე ვლადიმერ ილიას ძესთან.

„ 1920 წ. 20 აგვისტოს სტუმრის ბილეთით ვესწრებოდი კრემლში კომინტერნის II კონგრესს და მოვუსმინე ლენინს. ლენინის ეს გამოსვლა მის ნაშრომებში შევიდა როგორც სიტყვა პარლამენტარიზმის შესახებ. ლენინი გამოვიდა იტალიელი დელეგატის წინააღმდეგ, რომელიც დაუშვებლად თვლიდა მარქსისტთა მონაწილეობას ბურჟუაზიულ პარლამენტში.

ვლადიმერ ილიას ძე ტრიბუნაზეა. კონგრესის დელეგატებს იგი მიმართავს გერმანულ და ფრანგულ ენებზე... დარბაზის ცენტრში, თუმცა მარცხნივ იტალიის დელეგაციაა. ისინი დასაწყისიდან მხარს უჭერენ თავიანთ დელეგატს, ხმაურობენ, ლენინი მოთმინებით და დამაჯერებლად უხსნის მათ ამ პოზიციის მცდარობას. იტალიელი დელეგატები გაჩუმდნენ. დარბაზში სიწყნარე გამეფდა.

ვლადიმერ ილიას ძის სიტყვის ტონში იგრძნობა მისი შემწყნარებლობა გზააბნეულთა მიმართ, უნარი, მოთმინებით აუხსნას და დაარწმუნოს, ჩანს გენიალობა და თავშეკავება მასწავლებლისა, კომუნისტური პარტიის ბელადისა," — წერს ლუდმილა ვახილის ასული ამ მოგონებაში.

1920 წ. ნოემბერში ვლადიმერ ილიას ძე სიტყვით გამოვიდა ზამოსკვორეჩიეს კომუნისტთა შეკრებაზე. ეს შეკრება ჩატარდა ყოფილი კომერციული ინსტიტუტის დარბაზში, რომელსაც ახლა „ლენინის აუდიტორია" ჰქვია. იმ დღეს ლენინის მოხსენების თემა იყო: ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ.

ლუდმილა ვახილის ასულ ჩესნოკოვა-აირაპეტიანს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ეს კრება, ვინაიდან იგი ამ შეკრების მდივანი იყო და იწერდა ლენინისა და სხვა ორატორების გამოსვლებს. „ბევრი ამხანაგი გამოვიდა მოხსენების შემდეგ. ლენინი დიდი ინტერესით უსმენდა ყველას, გადმოიხრებოდა ჩემსკენ და მკითხავდა: რომელი ქარხნიდანაა? რაზე მუშაობს? ლურჯი ფანქრით ქაღალდის პატარა ფურცლებზე შენიშვნებს აკეთებდა კამათის მსვლელობაში... შეკითხვებს უპასუხა საბოლოო სიტყვაში".

მრავალი წლის ნაყოფიერმა შრომამ, იმ სიხარულმა, რაც ლენინური იდეების გამარჯვებამ მოუტანა ჩვენი ქვეყნის ხალხებს, შეუნარჩუნა ამ ხანდაზმულ მანდილოსანს არაჩვეულებრივი მეხსიერება ნათელი გონება და მიმზიდველი საუბრის უნარი.

მ. რამიშვილი,
მ. დილბაშიშვილი.



# ფურცლები წარსულიდან

არსებობს ძველი ხალხური თქმულება: სადაც დედის ცრემლი დაეპკურება, იქ ია ამოვა. ეს რომ სინამდვილეში ასე ყოფილიყო, ცარიზმის რეაქციის აზვირთების ხანაში დახოცილ რევოლუციონერთა დედების ცრემლებით მორწყული რუსეთის ვეებერთელა იმპერია კიდით კიდემდე ამ მშვენიერი საგაზაფხულო ყვავილებით იქნებოდა მოფენილი. ახლა ვისღა შეუძლია, თუნდაც მიახლოებით, ახსნას იმ ვაების სიღრმე და სიმძიმე, რაც დედებმა განიცადეს ცარიზმის დამხობამდე. გავეცნოთ ამის შესახებ არქივებში შემონახულ რამდენიმე მასალას.

...პრეობრაჟენსკის სასაფლაოს ზედამხედველს ვ. გ. საგოვსკის ქვითინით შევედრა მოხუცი ქალი, ეჩვენებინა მისთვის ქალიშვილის საფლავი. მესაფლავემ თავი გაიქნია უარის ნიშნად.

— ღვთის გულისათვის, შემიბრალე დედაბერი, მითხარი, სად არის დამარხული ჩემი გოგონა. იწამე ღმერთი, მითხარი, რომელია მისი საფლავი, — ცრემლების ღვრით ემუდარებოდა სოფია პეროვსკაიას დედა საგოვსკის.

საგოვსკი დუმდა.

გავიდა 36 წელი და მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს, ამოიდგა ენა უკვე მოხუცებულმა საგოვსკიმ და მოგვითხრო, თუ როგორი მკაცრი საიდუმლოებით იყო მოცული მეფის მკვლელების: პეროვსკაიას, ჟელიაბოვის, კიბალჩიჩის, მიხაილოვისა და რისაკოვის დასაფლავება. როგორც ცნობილია, ისინი 1881 წლის 3 აპრილს ჩამოახრჩვეს პეტერბურგში.

„სასაფლაოს კანტორაში, — გვიამბო საგოვსკიმ, — ჩემთან შემოვიდა ალექსანდრე ნეველის უბნის პოლიციის ბოქაული სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პირის თანხლებით და მიბრძანა სასაფლაოს განაპირას სასწრაფოდ მომემზადებინა ხუთი საფლავი ხუთი მიცვალებულისათვის. საჭირო დოკუმენტს ხვალ მოგიტანთ, — მითხრა. მაშინვე შევუდექი ბრძანების შესრულებას. წავიყვანე მუშები და სასაფლაოს მიყრუებულ კუთხეში ამოვათხრევინე ღრმა ორმო. მეორე დღეს დილით სადგურში გავედი. მალე პეტერბურგიდან ჩამოდგა მატარებელი, რომელსაც ბოლოში ერთი საბარგო ვაგონი ება. მატარებლიდან ჩამოვიდა ბოქაული, მას რამდენიმე არასამხედრო პირი ახლდა. მოხსნეს საბარგო ვაგონი. მატარებელი წავიდა. ამ დროს ვაგონთან მოვიდა შლისელბურგის უბნის პოლიციის ბოქაული ავაფონოვი, რომელიც, ცხადია, წინასწარ იყო გაფრთხილებული. ბოქაულები განზე გადგნენ და დიდხანს ისაუბრეს დაბალი ხმით. მერე ავაფონოვი სასაფლაოს კანცელარიისკენ წავიდა. უკან აგედევნე და დავუძახე. იგი შეკრთა, მოიხედა, მიცნო და დამშვიდდა. მითხრა: ხუთი კუბოთი ჩამოიტანეს მეფის მკვლელები, ისინი პეტერბურგში, სემიონოვის მოედანზე ჩამოახრჩვესო. ჟრუანტელმა დამიარა ტანში. სასაფლაოს მუშებს ვუბრძანე მარხილში ცხენები შეებათ და თან თოკი წამოეღოთ. როდესაც ვაგონი გახსნეს, შიგ იდო შავად შეღებილი ხუთი ყუთი. მუშებმა ყუთები მარხილზე დაალაგეს და ეკლესიისაკენ წაიღეს. გზაში ავაფონოვმა გამაფრთხილა: ნაბრძანებია, ეკლესიაში წესი არ აუგოთ. ჩავუაროთ ეკლესიას და პირდაპირ საფლავთან მივიტანოთ ყუთები. ყუთები ცუდად იყო დაჭედილი და საფლავში ჩაშვების დროს ზოგი დაიშალა. ის ყუთიც დაიშალა, რომელშიც ახალგაზრდა ქალის ცხედარი ესვენა. ქალს შავი ტანსაცმელი, დაბამბული კოფთა და ცხის ფეხსაცმელი ეცვა.

საფლავში ყუთების ჩაშვების დროს სრული სიჩუმე სუფევდა. არავის ხმა არ დაუძრავს. ბოქაულის ბრძანებით მუშებმა ამოავსეს საფლავი და ისე გაასწორეს ზედ მიწა, რომ არაფერი ემჩნეოდა. კანტორაში ბოქაულმა ჩამომართვა ხელწერილი, რომ მე მისგან ჩავიბარე ხუთი ცხედარი და რომ ისინი დავასაფლავე საეკლესიო წესის აუგებლად. მერე ცალკე აქტზე ხუთ ადგილას, თითოეული ჩამოხრჩობილის გვარის შემდეგ, მომაწერია ხელი. დაბოლოს, ცალკე ხელწერილი ჩამომართვა, რომ მე არასოდეს არავის გავუმხელდი მათ ვინაობას.

კანტორიდან შინ წავედი. გზაში შევნიშნე, ვიღაც მითვალთვალებდა. ეს იყო ოხრანკის აგენტი, რომელიც შემდეგ მთელი რიგი წლების განმავლობაში თვალს არ მაშორებდა.

დასაფლავებიდან ერთი წლის შემდეგ ჩემთან მოვიდა სოფია პეროვსკაიას დედა და ცრემლების ღვრით მთხოვა მეჩვენებინა მისთვის სემიონოვის მოედანზე ჩამოხრჩობილი, მეფის მკვლელების საფლავი. მან ქვითინით ამიხსნა, სოფია პეროვსკაიას დედა ვარო. რადგანაც ვიცოდი, რომ ოხრანკის აგენტი თვალს არ მაშორებდა, შევშინდი სასჯელისა და მოხუცს ვერ ვასწავლე, რა ადგილას განისვენებდა მისი ქალიშვილი.

მეორე დღეს გამომიძახეს ოხრანკის განყოფილებაში და მკითხეს, რას ელაპარაკებოდი გუშინ იმ დედაბერსო. მე განვუცხადე, არავითარი დედაბერი არ მინახავს-მეთქი. გამიყვანეს მეორე კაბინეტში და იქ მაჩვენეს მოხუცი პეროვსკაია. გამოვტყდი და ვაღიარე, მართალია ეს ქალი ჩემთან იყო, მაგრამ შვილის საფლავი არ მიჩვენებია-მეთქი. გამიშვეს და ამის შემდეგ მეთვალყურეობა უფრო გააძლიერეს. მხოლოდ ათი წლის შემდეგ მომიხსნეს ფარული მეთვალყურეობა".

ცარიზმის დამხობის შემდეგ არქივებში აღმოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ 1882 წლის თებერვალში კრონშტადტში დახვრიტეს სუხანოვი, მეფის მოკვლის განზრახვისათვის. დედამ მიაგნო წამებული შვილის საფლავს და ყვავილებით შეამკო იგი. უბედური დედა ყოველდღე დადიოდა შვილის საფლავზე და პირქვე დამხობილი დასტიროდა მას. ამის შესახებ მიღებულმა ცნობამ ააფორიაქა პეტერბურგის ჟანდარმერია. მან მაშინვე მიიღო ზომები და გაწმინდეს საფლავი ყვავილებისაგან.

1906 წლის 29 აგვისტოს უშიშრად ავიდა ეშაფოტზე მოსკოვის 1905 წლის დეკემბრის აჯანყების სისხლში ჩამხრჩობის გენერალ მინის მკვლელი ზინაიდა კონოპლიანიკოვა. როდესაც რევოლუციურმა ხალხმა 1917 წლის 28 თებერვალს შლისელბურგის ციხის კარები გაუღო პატიმრებს, ჩვენ შევიპყარით ციხის დარაჯები და მათი დაკითხვით დავადგინეთ, თუ ვინ სად იყო ჩამოხრჩობილი და დასაფლავებული, ვინ როგორ ეჭირა თავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. ზინას საფლავსაც მივაგენით. მალე ზინას მოხუცი დედა ესტუმრა შლისელბურგის კატორღის ყოფილ პატიმრებს. მოხუცმა ქვითინით გვთხოვა: მიჩვენეთ ჩემი ზინოჩკას საფლავიო.

უბედური დედა წამებული შვილის საფლავთან მივიყვანეთ. დიდხანს ქვითინებდა შვილის საფლავზე მოხუცი.

რევოლუციის არქივებში შემონახული მასალებით ვეცნობით, თუ როგორ ეპყრობოდნენ სიკვდილმისჯილი შვილების საყვარელ მშობლებს.

...რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებას კოშმარული რეპრესიები მოჰყვა. რევოლუციონერებით გაიჭედა მეფის საპატიმროები. 1906 წლის 25 თებერვალს მეფემ საგანგებოდ შერჩეულ ჯალათად, გენერალი ალექსანდრე მაქსიმოვსკი დანიშნა საპატიმროთა მთავარი სამმართველოს უფროსად. მანამდე, ასე თუ ისე, გაურბოდნენ პოლიტიკური პატიმრების როზგით დასჯას. მაქსიმოვსკის ბრძანება გახდა, ციხის რეჟიმის ოდნავი დარღვევისათვის პოლიტიკურებიც კი ულმობლად გაეროზგათ. ამ ნიადაგზე მძიმე ტრაგედიები დატრიალდა ციხეებში, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ რუსეთში. უცხოეთის პრესაც გამოეხმაურა ამას. მაქსიმოვსკი თავისას განაგრძობდა.

ოცი წლის ქალიშვილმა ევსტოლია რაგოზინსკაიამ განცხადება დაწერა მაქსიმოვსკის სახელზე, სამმართველოში შევიდა და მოგონილი ტირილ-გოდებით აიძულა გენერალი მიეღო იგი. როცა მაქსიმოვსკი განცხადების კითხვას შეუდგა, ქალიშვილმა უბიდან რევოლვერი იძრო და იქვე მოკლა ჯალათი. ევსტოლია 1907 წლის 18 ოქტომბერს ჩამოახრჩვეს პეტერბურგში. სიკვდილმისჯილი 20 წლის ქალიშვილი ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის მშობლებს:

„ არ ვიცი მიიღეთ თუ არა სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შემდეგ გამოგზავნილი ჩემი ორი წერილი. გწერთ მესამეს, იმ იმედით, რომ ეს მაინც მოაღწევს თქვენამდე. ერთხელ კიდევ მინდა გაცნობოთ, ჩემო საყვარელო დედავ და მამავ, რომ სიკვდილი არ მაშინებს. სიკვდილი მაშინ არის ცუდი, თუ სიცოცხლეში ის არ გაგიკეთებია, რისი გაკეთებაც ადამიანს შეეძლო. მე რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, შევასრულე. ეს მგვრის სიმშვიდეს და მხნეობას. მე მეტი მინდოდა გამეკეთებინა ცხოვრებაში, და თუ ვერ შევძელი, არ ვიცი, ჩემი დანაშაულია, თუ პირობების. მხოლოდ უმაღლესმა მოვალეობამ მიკარნახა წავსულიყავი იმ გზით, რა გზითაც წავედი, არა, არამც თუ მოვალეობამ, არამედ სიყვარულმა, ხალხის სიყვარულმა. ამ დიდი სიყვარულის გამო გავწირე მე ყოველივე ის, რაც კი მებადა".

ევსტოლია გათენებისას გაიყვანეს ჩამოსახრჩობად. გოგონა არ დაბნეულა, მშვიდად მიუახლოვდა ეშაფოტს, მიუბრუნდა მცველთა ოცეულის უფროსს და სთხოვა:

— ცოტა ხანს მაცალეთ, მინდა უკანასკნელად შევხედო მზეს!

გულჩუეებულმა ოფიცერმა, პირიქით, დააჩქარა ამ მძიმე ტრაგედიის დასასრული.

თედორა შავიშვილი

ჯემალ ჯაყელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბულბულების კონცხი

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

მოვალეობის გრძნობით კი არა, უბრალოდ, გულის კარნახით გწერ, მადინა! არ გეგონოს რამეს გთხოვდე, ან გავალებდე, არა. აბა ამის რა უფლება მაქვს.

არც თანაგრძნობად მიიღო ეს ბარათი. არ მიყვარს, როცა მადლობას დაიმსახურებენ, ვითომ „კეთილი" ადამიანები, და თავის გზას გაუდგებიან. ისინი არაფერს იძლევიან. პირიქით, იღებენ და ამით კმაყოფილდებიან. ო, როგორ არ მიყვარს ასეთი თვითკმაყოფილება!

მაშ, რაღად გწერ?

ხომ არ გგონია, რომ მეცოდები? —

— არა!

მე ასეთ შეურაცყოფას არასოდეს მოგაყენებ. დამამცირებელია, გეფიცები დამამცირებელია. უფრო მეტიც, საშინელებაა, როცა ვინმეს შეეცოდები. ან დგახარ გარინდებული და თვალებს არ ახამხამებ, ან... ან გატყუებს ის, ვისიც უზომოდ გჯერა! ...ამიტომაცაა, რომ მე არ გაკადრებ, შეგიცოდო.

...არა, ნუ მკითხავ, თუ რატომ გწერ. თვითონაც არ ვიცი. როგორც ჩანს, უბრალოდ, არ შემიძლია არ მოგწერო.

გახსოვს, ბულბულების კონცხზე, ტირიფთან რომ იდექი და... თვალებს არ ახამხამებდი? ნურაფერს მეტყვი, ისედაც ვიცი, რომ შენ ეს არასოდეს დაგავიწყდება.

ო, რა კარგად მესმის შენი! სწორედ ეს მაბრუებს და მოსვენებას არ მაძლევს. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც გიმხელ ფიქრებს, ამიტომაც გწერ, მადინა!

ვიცი, შენ ბულბულების კონცხი აღარ გხიბლავს და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ უკვე მეორე წელია აქ აღარ ჩამოსულხარ... არიან ადამიანები, რომელთაც ეადვილებათ შეგაძულონ, გული გაგიცრუონ, ხოლო შეგაყვარონ — უჭირთ. შენ რატომ აქცევ ყურადღებას მათ? თუ ეს ასე არ არის, მაშ, რატომ არ ჩამოდიხარ? მე კი ასე გელი, მადინა!

იცი, რა კარგია ახლა ბულბულების კონცხი? არა, ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ დაგაინტერესო. რა საჭიროა, შენც კარგად იცი, რომ აქ სულ სხვა ფერი აქვს ზღვასა და ცას, აქ სულ სხვანაირად შრიალებს პალმა და კვიპაროსი, ტირიფი და მაგნოლია, სურნელებაც სხვანაირია აქაური ყვავილებისა.

როცა ვუმზერ ამ წარმტაც აისებსა და ზღაპრულ დაფიონს, მინდა შენც უმზერდე, ტკბებოდე, ხარობდე, გატაცებით ლაპარაკობდე, იღიმებოდე. ეს ყველაფერი მენანება, საკუთრივ ჩემთვის მენანება. მინდა იგი შენც გეკუთვნოდეს, მადინა, შენიც იყოს!..

ასე მგონია, აქ მზეც სხვანაირია, ისიც ბულბულების კონცხს ეკუთვნის. აქვე ამოდის, პირს იბანს, ნარნარებს და თუ ჩადის, ეს იმიტომ, რომ ცისკრის ვარსკვლავს ამოჰყვეს, ბედის ვარსკვლავს, და სამუდამოდ დაებედოს ქვეყანას...

ამბობენ, სიცილისა და ტირილის დროს სახის ნაკვთების თრთოლვა დაიერი ერთნაირიაო. მით უმეტეს, როცა სიცილის, ლამაზი სიცილის ცრემლები გააბრწყინებენ თვალებს და მე მინდა სწორედ შენმა ლამაზმა სიცილმა გარეცხოს მღვრიე ალიონი და ცისკარი გაალამაზოს, ზღვაზე გადმომდგარი ცისკარი! შენ იდგე ზღვისპირას, კლდეზე, ასეთი კენარი, და უძირო თვალებით ზღვას ჩასცქეროდე, სავსეს ნიჟარებითა და მარგალიტებით!

აქ ზღვაც უცნაურია, მადინა! ეს შენ კარგად იცი, მაგრამ მაინც მინდა მოგაგონო, რომ ზღვა საოცარი მეგობარია ადამიანისა, მას გულიცა აქვს და სუნთქავს კიდეც. გმინვაც შეუძლია და ალერსიც. რაც არ უნდა განაწყენებული და აღელვებული იყოს, ბულბულების კონცხთან მშვიდდება და ისე ნებდება აქაურობის სილამაზეს, როგორც ერთმანეთზე აღმსდგარი რაინდები — ქალის ქათქათა მანდილს! ამ კონცხსაც აქვს სისპეტაკის თავმანდილი, უფრო კი თამარისეულ ციხეს, რომელიც ალიონისას მღელვარე ტალღებისაკენ გადააფრიალებს მანდილს. მის დანახვაზე ზღვა ისე მშვიდდება, რომ მოლამუნე ჭავლებად გადაქცეული, ნაზად ეალერსება სანაპიროსა და უხსოვარი დროის რაინდს — ციხე-სიმაგრეს. არ გჯერა? ალბათ იმიტომ, რომ ამ მანდილს, სხვანაირად, განთიადის ქათქათა ღრუბელს ეძახიან.

შენი სიცოცხლე ერთი მთლიანი, დაუსრულებელი მუსიკაა სილამაზისა, მაგრამ მე მინდა მას აქაური ბულბულების გალობაც ავსებდეს. იცი, რა მოხდა გუშინ? აქ ერთი ფრთაქათიბა ბულბული შენიშნეს და თქვეს, ჰავაიურიაო. მე ვუთხარი, რომ ის აქაური ბულბულია, ჰავაიში ჩაფრინდა, მაგრამ იქაურობა არ მოეწონა და ისევ მშობლიურ კონცხს მოაშურა-მეთქი. ხუმრობა ეგონათ და გაიცინეს, მაგრამ მალე შევატყვე, რომ დამიჯერეს. მინდა შენც გჯეროდეს ჩემი.

დიახ, ამ ტირიფს შენს შემდეგ ბულბულები შემოეჩვივნენ. ფოთლების შრიალს მათი გალობა ისე ერწყმის და ალამაზებს, როგორც ნავსა და ტალღებს — სიმღერა. ეს ხმები მშობლიური მიწის ენაა და მინდა მას აქ, ბულბულების კონცხზე, ისმენდე.

შენ ახლა ცისფერი სიჩუმე ხა[illegible], მადინა! ნეტავ იცოდე, რაოდენ ხმაურობს შენი სიჩუმე და დუმილი ჩემს სულში! მე ახლა მხოლოდ უმაღლესი არდაჩუმება მინდა, რადგან შენს ნაცნობ ტირიფთანა ვარ და ვიგონებ შენთან შეხვედრას, პირველ სიტყვებს. კარგად მახსოვს, ასე გითხარი:

„ზღვის ფერით მევსება სული, მადინა, და განსაკუთრებით ახლა არ

შემიძლია, მშვიდად გიმზირო, უბრად ვიდგე შენს გვერდით, ან ჩაგიარო, როგორც გემები ჩაუვლიან ერთმანეთს და შორდებიან“.

შენ კი იდექი, როგორც ციმბირული თეთრი მდუმარება.

„ღმერთო ჩემო...“ — ჩავიჩურჩულე და დაგაკვირდი. შენ იდექი და თვალებს არ ახამხამებდი. მაშინ გავიფიქრე და ახლაც მგონია, რომ საშინელება იდგე და თვალებს არ ახამხამებდე.

თავი დავხარე. ყვავილი მოგაწოდე, რომ შენი დაჟინებული და ცივი მზერისათვის აზრი დამებრუნებია. მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ რასაც უმზერდი, ის სრულებითაც არ გაინტერესებდა, მასზე არ ფიქრობდი. მაგრამ ამაოდ. მაშინ, მგონი, დავძინე:

„ნუ ღელავ, მადინა! მოდი, მე ვიფიქრებ შენს მაგივრად...“

არ ვიცი, ალბათ, ძალიან სასაცილო ვიყავი მაშინ. შენ ოდნავ შეკრთი და გაიღიმე.

გამიხარდა შენი შეკრთომა, რადგან მასში აზრმა გაანათა. ამის მეტი არა მინდოდა-რა. აზრი ხომ სინათლეა გონებისა! მაგრამ ღიმილი?

ღიმილი უცებ გაქრა შენს ბაგეებზე და ცრემლი მოგერია. კარგად დავინახე, როგორ შეჰკარი წარბი და გრძელ წამწამებს როგორ დაეკიდა ქალწულის ცრემლი. ლამაზი და დაუვიწყარია ასეთი ცრემლი.

და შენ . ასეთი იყავი მაშინ, მადინა!

იმ დღეს არაფერი გითქვამს, არც მეორე დღეს. და, მგონი, საერთოდ არავის გასაუბრებიხარ მაშინ. მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდი. ყველა წამი შენთვის გინდოდა, თითქოს ტალღების ღელვიძებაზე ფიქრობდი.

კვირას შეგხვდებიო, მითხარი, თამარისეული ციხის ქონგურთან, ზღვასა და „ოქროს სანაპიროს“ რომ გადაჰყურებს.

არის წამი, რომელიც საუკუნედ გადაიქცევა. და მე მედგა ასეთი საუკუნეები, სანამ დანიშნული დრო მოაღწევდა...

ვიცოდი, არ დამხვდებოდი, და მე მაინც მოვდიოდი თამარისეული ციხის ქონგურთან. აქედან ხელისგულივით მოჩანან ქათქათა გემები, აფრიანი ნავები, „ოქროს სანაპირო“ და ბევრი, ძალიან ბევრი მოაგარაკე.

ვუმზერ დღესაც მათ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ადამიანებს, და ვფიქრობ: ყველას აქვს თავისი ტკივილი და სიხარული, თავისი ცხოვრება, მაგრამ ყველას ერთი დიდი საერთოცა აქვს: უყვარს ზღვა, ზოგჯერ აზვირთებული, მაგრამ მუდამ ღრმა და თვალმიუწვდენი, როგორც სიცოცხლე!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მე შენ გიპოვი

(ნამდვილი ამბავი)

რომ იცოდეთ, რა ლამაზია ჩვენი ეზო! გარს აგურის გალავანი არტყია, ისეთი მაღალი, ისეთი მაღალი, რომ ირგვლივ დარგული ხეები ნახევრამდე ვერც კი სწვდებიან. ეზოში ჭრელი ყვავილებია.

გალავნის იქით დიდი სახლი დგას. იმ სახლს მონასტერი ჰქვია. როცა მზიანი დღეა, ისე კაშკაშებს, რომ თვალებს მტკენს.

— ჩვენი მონასტერი ისტორიულია, — გვითხრა ერთხელ გამზრდელმა, — მას „შუამთის დედათა მონასტერი“ ჰქვია.

ვერ გავიგე, რა არის „ისტორიული“, ან ამდენი ხალხი რატომ მოდის მის სანახავად.

ჩვენი სახლიც მაღალია, გალავანზე უფრო მაღალი. დიდ ოთახებში პატარა საწოლები დგას, იქ ვიძინებთ მე და ჩემი ამხანაგები.

პატარები რომ ვიყავით, ტანსაცმელს მარიკა გამზრდელი გვხდიდა, ახლა კი გავიზარდეთ და ჩვენ თვითონ ვიხდით. გვიჭირს, მაგრამ ვეჩვევით. მე ხომ უკვე ხუთი წელი შემისრულდა.

ერთხელ ბაღში გამოგვიყვანა გამზრდელმა. იქ ცხენი ბალახობდა. მასთან მიკუნტრუშდა და ძუძუს დაუწყო წოვა პატარა კვიცმა.

— ეს ცხენი ამ კვიცის დედააო, — თქვა ზურიკომ.

ჩვენ კი უდედმამო ბავშვებს გვეძახიან.

— იმ კვიცს თუ ჰყავს დედიკო, ჩვენც გვინდაო. — ტირილი დაიწყეს გიამ და ვაჟამ.

— დედა თქვენცა გყავთ, დაელოდეთ და მოგივათო, — გვითხრა მზია მასწავლებელმა.

დედა მეც ძალიან მენატრება. ნეტავი, როგორია დედა?

მთელი ღამე ვფიქრობდი დედაზე. უცებ ჩურჩული შემომესმა. თავი ავწიე საწოლიდან და რას ვხედავ — ნათელა წამომჯდარა, გულზე ხელები დაუკრეფია და ჩურჩულებს:

„წმიდაო გიორგი, დამიბრუნე ჩემი დედა, გევედრები, მომიყვანე ჩემი დედიკო...“

ნათელამ ჯერ შუბლზე მიიდო ხელი, მერე მუცელზე და ბოლოს მხრებზე. რას აკეთებმეთქი. შევეკითხე გაკვირვებული.

— ჩუუ! — მიიფარა ტუჩებზე თითი ნათელამ და გამზრდელის ოთახისაკენ გაიხედა, — ასე ეხვეწებოდა ეკლესიაში ერთი დეიდა ნახატს: „წმიდაო გიორგი, დამიბრუნე ჩემი დაკარგული ცხვარი, გევედრები მომიყვანე ჩემი ცხვარი...“

— მერე? დაუბრუნდა ცხვარი? — თვალები დავაჭყიტე მე.

— რა ვიცი... — ამოიოხრა ნათელამ, — მოდი, ჩვენც ვთხოვოთ, ეგებ, დაგვიბრუნოს ჩვენ — ჩვენი დედიკო.

დიდხანს ვჩურჩულებდით, სანამ არ მიგვეძინა.

— იცი, პაატა, მე ვიპოვე ჩემი დედიკო! — მითხრა ერთ დილას გახარებულმა გიამ, — დღეს უნდა წამიყვანოს.

— როგორია შენი დედიკო, ლამაზია? — შეეკითხა ლელა გიას.

— არ ვიცი... — თქვა გიამ, — მარიკა გამზრდელმა მითხრა გუშინ: შენი დედა ჩამოვიდა და ხვალ წაგიყვანსო.

ჩვენ შევყურებდით და ვფიქრობდით: „აი, რა ბედნიერია გია!“

სადილის შემდეგ უცხო დეიდა მოვიდა ძიასთან ერთად. მათ კანფეტები დაგვირიგეს და მზია მასწავლებელს გაუბეს საუბარი.

— გია! — დაუძახა მზია მასწავლებელმა გიას, — მოდი ჩვენთან!

გიამ თავი ჩაღუნა და მიწას დააცქერდა.

— მიდი, შენი დედიკოა, ბიჭო! — წაჰკრა ხელი ლელამ.

გიამ ტირილი მორთო.

დეიდა მივიდა გიასთან, ხელში აიყვანა და მოეფერა:

— დამშვიდდი, ჩემო პატარავ, რატომ ტირი, მე ხომ შენი დედიკო ვარ... აი, რა მოგიტანე, მანქანა!..

გიამ თავი მიადო თავზე დედას და ჩაეხვია. არ ვიცი რატომ, მაგრამ მზია მასწავლებელმა ტირილი დაიწყო.

ასე იპოვა გია დედიკომ.

— ჩემი დედიკო როდის მოვა? ჩემი? ჩემი?... — ვეკითხებოდით მზია მასწავლებელს, როცა გია წაიყვანეს.

მალე ლელამაც იპოვა დედიკო, ზაზამაც, ჩემი დედიკო კი არსად ჩანდა.

ერთხელ ავად გავხდი და მთელი დღეები საწოლიდან არ ავმდგარვარ. მარიკა გამზრდელი მივლიდა. მე დედა მომინდა და ავტირდი:

— დედა... ჩემი დედიკო...

მარიკა გამზრდელი მომეფერა და მითხრა: — ნუ ტირი, პაატა, შენი დედიკოც მოვაო.

ტირილი შევწყვიტე.

— როგორია, მარიკა გამზრდელო, ჩემი დედიკო? მაღალია? რა ფერის თვალები აქვს? რა ფერის თმა?

— მაღალია, ბიჭუნი, ცისფერი თვალები

აქვს და შავი თმა. ძალიან ლამაზია შენი დედიკო, ძალიან უყვარხარ. ჩუ, ნუ ტირი, თორემ ისევ სიცხეს მოგცემს; დაიძინე, ნანააა... მოვა შენი დედიკო, ნუ ტირი, გენაცვალე.

დამეძინა. სიზმარში ვნახე — ლამაზი დეიდა მკოცნიდა და მეფერებოდა: — მე დედა ვარ შენი, შვილო, მიყურე როგორი ვარ...

— რუსიკო, როგორია ცისფერი თვალები? — შევეკითხე რუსიკოს, როცა ბაღში ვთამაშობდით.

— აი, მაღლა აიხედე, როგორია ცა, ასეთია ცისფერი თვალები. მიყურე, მეც ასეთი თვალები მაქვს.

...სადილის შემდეგ ბავშვებს ყოველთვის გვაძინებენ, დღეს კი რატომღაც არ დამეძინა.

გავიგე, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა. ოდნავ, სულ ოდნავ გავახილე თვალები და უცხო დეიდა დავინახე. მის უკან მარიკა გამზრდელი იდგა და ჩემზე უთითებდა.

— აი, ეს არის ჩვენი პაატა; ძალიან ჭკვიანი ბავშვია. ხედავთ, რა ლამაზია? მოგწონთ?

დეიდა ალერსით აქნევდა თავს და სიყვარულით მიცქეროდა.

„ნეტავი, ვინ არის? — გავიფიქრე მე, — „ექიმია? ალბათ, აგვიცრიან".

— ძალიან კარგი, — თქვა დეიდამ — იცის, რომ...

— ჩუუ... — ჩაიჩურჩულა მარიკა გამზრდელმა — წამობრძანდით, ქალბატონო, ჩემს ოთახში მოვილაპარაკოთ.

მეორე დღეს მარიკა გამზრდელმა დამიძახა, მომეფერა და მითხრა:

— იცი, პაატა, შენი დედიკო ჩამოვიდა, დღეს მოვა. გინდა შენს დედასთან?

გული ამიფანცქალდა:

— მინდა.

სადილის შემდეგ მარიკა გამზრდელმა თავის ოთახში ამიყვანა. ოთახში ის დეიდა იჯდა, მარიკა გამზრდელმა რომ უთხრა ჩემზე ჭკვიანი ბავშვიაო. მას თმა კი არა თვალები ჰქონდა შავი.

— აი, შენი დედიკო, პაატა, მიდი მასთან.

— არააა! — ავღრიალდი მე. — ეს არ არის ჩემი დედიკო... — მოვტრიალდი და გაქცევა დავაპირე.

— საით? — მაჯაში მაგრად ჩამავლო ხელი დეიდამ. — მოდი ჩემთან...

— ეაიმე! — შევყვირე მე, — მიშველე, მარიკა-გამზრდელო, არ მინდა, მარიკა-გამზრდელო, ამ დეიდასთან.

— სუ, გენაცვალე! — მეფერებოდა გამზრდელი, — ჰო, კარგი, აი, შენი დედიკო ეზოში ჩავიდა, იქ მოგიცდის. აბა, მითხარი, დედასთან არ გინდა?

ძლივს გავახილე ცრემლიანი თვალები. დეიდა ოთახიდან გასულიყო.

— მარიკა-გამზრდელო, ხომ მითხარი დედაშენს შავი თმა და ცისფერი თვალები აქვსო? ის ხომ ჩემი დედიკო არ იყო? არ მინდა იმასთან, არა.

კიდევ დიდხანს ვტიროდი. მერე საწოლში ჩამაწვინეს და ტირილში ჩამეძინა. როცა გავიღვიძე, თავზე ექიმი მადგა და მიცინოდა.

— როგორ შეგვაშინე, პატარავ! ახლა კარგად ხარ? აბა, ერთი, ეს წამალი გადაყლაპე.

შავთვალა დეიდა მერე აღარ მოსულა.

* * *

კვირაობით ძალიან ბევრი ხალხი მოდის ხოლმე მანქანებით ჩვენი მონასტრის სანახავად. მოვლენ, დაათვალიერებენ, კანფეტებს დაგვირიგებენ და იმავე საღამოს უკან ბრუნდებიან.

დღესაც მოვიდნენ ძიები და დეიდები. მათი პატარა გოგონა ჩვენთან გაერთო თამაშით. ნინო ერქვა სახელად.

— სად არის შენი დედიკო? — შემეკითხა ნინო.

— არ ვიცი...

— ჩემი დედიკო კი აქ არის, — გაიშვირა ხელი მონასტრისკენ, — წამოდი, მოვძებნოთ.

ჩვენ მონასტრისკენ გავიქეცით.

— აი, ჩემი დედიკო!

დეიდა გაუჯავრდა ნინოს: ასე შორს რატომ წახვედიო.

— ეს ვინ არი, ნინო! — დაიხარა დეიდა ჩემსკენ, — რა გქვია, პატარავ?

მე გაოცებული ვუყურებდი: ეს ხომ ჩემი დედიკოა! — შავი თმა, ცისფერი თვალები... მაღალი... დედაა, დედიკო!

მარიკა გამზრდელთან გავიქეცი:

— ვიპოვე, მარიკა-გამზრდელო, ჩემი დედიკო. აგერ, იქ არის, მონასტერთან. წამოდი, გაჩვენო, მარიკა-გამზრდელო, არ წავიდეს, წამოდი, ჩქარა!

ერთად მივირბინეთ მონასტერთან.

დედა ისევ იქ იყო, გვიყურებდა და გვიცინოდა. მივირბინე მასთან, მოვეხვიე, ჩავეხუტე:

— დედა, მე შენ გიპოვე...

ნინო იცინოდა და ფეხზე მექაჩებოდა:

— ჩამოდი, ეს ჩემი დედიკოა!

დედაც მეფერებოდა, მკოცნიდა და... ტიროდა.

მერე ძია მოვიდა, ნინო აიყვანა ხელში და დედას მიუბრუნდა:

— რაშია საქმე?

მარიკა-გამზრდელმა ცალკე გაიხმო დედა. ძიამ ხელი გადამისვა თავზე:

— წადი, ითამაშე, პატარავ.

მივდიოდი და თან დედასკენ ვიყურებოდი.

მარიკა-გამზრდელმა დამიძახა, მომეფერა და მითხრა:

— პაატა, ეს არ არის შენი დედიკო. ეს ნინოს დედაა. ისე, ჰგავს შენს დედას.

— არა, — შევყვირე მე, — ჩემი დედიკოა, ნინოს დედიკოცაა და ჩემიც. გამიშვი, იმას ხომ ცისფერი თვალები აქვს, გამიშვი...

მერე მანქანა წავიდა და წაიყვანა ჩემი დედიკო.

რატომ წახვედი, დედა, რატომ მიმატოვე? მე გელოდები, მოდი, წამიყვანე. მე გიპოვი, დედა...

**ირინე ღლონტი**

# კუდრაჭა

მოთხრობა

პატარა რუსუდანმა სიარულიც ისწავლა და ლაპარაკიც. სიტყვებს ისე ამბობს, როგორც თვითონ შეუძლია. ხელი რომ უნდა თქვას, „ქელიო" ამბობს; ფეხის მაგივრად „ფეთის" თქმა ეადვილება.

მისი ენა მარტო დედამ კი არა, ბაბუამაც კარგად იცის.

რუსუდანი და ბაბუა სულ ერთად ლაპარაკობენ, თამაშობენ.

ბაბუას წამოწოლა უყვარს ხოლმე, სამაგიეროდ, რუსუდანს არ უყვარს მწოლარე ადამიანი.

ერთ დღეს ბევრი ითამაშა ბაბუამ რუსუდანთან. გოგონა არ დაიღალა, ბაბუას კი დაღლა შეეტყო და ტახტზე წამოწვა. რუსუდანმა მაშინვე ჩაჰკიდა ხელი, დაძინება არ მომასწროსო.

— ადექი, ბაბუა, ადექი, ვითამაშოთ!

— შე კუდრაჭა, აქამდე ხომ გეთამაშე?

— კიდევ მინდა თამაში.

ბაბუამ არ გააწბილა რუსუდანი, წამოდგა და შეეკითხა:

— რა ვითამაშოთ?

— ლა ვითამაშოთ, იცი?

—არ ვიცი, — ეუბნება ბაბუა.

— მე ვიცი, — თავმომწონედ ამბობს რუსუდანი.

— აბა მითხარი!

— ლაი და, მე დავიმალები, აბა თუ მომაგნებ.

— აბა ჰა, აბა ჰა, ვნახოთ როგორ დაიმალები, — აქეზებს ბაბუა.

რუსუდანი გაიქცა, მოეფარა კარს და იძახის:

— კუ-კუ!

ბაბუა მიდის რუსუდანის მოსაძებნად, მივიდა კართან და რას ხედავს?

რუსუდანი დგას და თვალებზე აუფარებია თავისი პატარა ხელები, თვითონ რომ ვერაფერს ხედავს, ჰგონია, სხვაც ვერ მხედავსო, და ასეა სულგანაბული. ბაბუა მიუხვდა გოგონას და თავისთვის ლაპარაკობს:

—სად დამემალა ეს კუდრაჭა, სად დამემალა? — თან ოთახში დაიარება და ვითომ რუსუდანს ეძებს.

ბოლოს რუსუდანმა თვალებიდან მოიხსნა ხელები და ბაბუას დაუძახა:

—ბაბუა, ხომ ველ მომაგენი, აი, აქა ვალ.

— უყურეთ ამ კუდრაჭას, უყურეთ, სად ყოფილა დამალული, — ისე გაკვირვებული ლაპარაკობს ბაბუა, თითქოს ახლა დაინახაო.

იცინის ბაბუა, იცინის რუსუდანიც, და. ჰგონია, თითქოს ბაბუამ მართლა ვერ მიაგნო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტად სახალხო მსახიობი — თამარ ჭავჭავაძე — ორმოცდაათი წლის მანძილზე ამშვენებდა ქართულ სცენას, უმღერდა საგმირო საქმეებს, — ხან თავისუფლების უსაზღვრო სიყვარულს, ხანაც ვაჟკაცური ომახიანობით იმაღლებდა ხმას ბოროტების წინააღმდეგ. მას თავისი შემოქმედებითი თემა ჰქონდა, საკუთარი გმირები ჰყავდა, რომლებშიც ეძებდა მაღალადამიანურობის თვისებებს და ჰპოულობდა კიდევაც საშუალებებს მათი სწორი წარმოსახვისათვის.

ამ მსახიობის გულუხვი მონაცემები — ღრმა განცდა და ძლიერი ხმა, იშვიათი დიდებულება და უდრეკი სული, მუდმივ მთლიანობაში იყო. მისი შემოქმედების ძალა ცხოვრებისა და სულიერი ინტერესების სიფართოეში მდგომარეობდა, ხოლო შემოქმედებითი სახე — გმირის სრულყოფილებისაკენ მისწრაფების ცოცხალი მაგალითი გახლდათ.

თამარ ჭავჭავაძის ბობოქარი ტემპერამენტი აჯადოებდა მაყურებელს. მის მიერ წარმოთქმული ნამდვილად ქართული ფრაზა ცხოვლად აღწევდა აუდიტორიამდე, გულში ჩამწვდომად ჟღერდა ყოველი სიტყვა, სიტყვის უზადო ოსტატი იყო ეს მადლმოსილი მსახიობი; რამდენი ძალა, ლირიკა, სიმსუბუქე და აღმაფრენა იყო მის კითხვაში!

ვიდრე თეატრს მიაშურებდა, თამარ ჭავჭავაძე ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და ლებედინსკის დრამატულ სტუდიაში სწავლობდა. 1919 წელს პირველი მოძრავი პროლეტარული თეატრის მსახიობი იყო და წითელი არმიის საბრძოლო ნაწილებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე ემსახურა. 1920 წელს საქართველოშია. ამ დღიდან მან რუსთაველის თეატრში პროფესიული დაოსტატების დიდი სკოლა განვლო.

1922 წელს, როცა კოტე მარჯანიშვილმა თავისი სახელგანთქმული სპექტაკლი „ცხვრის წყარო" დადგა, ლაურენსიას ურთულესი როლი სრულიად ახალგაზრდა თ. ჭავჭავაძეს მიანდო. ასე დაიწყო ქართული თეატრის ახალი პერიოდი და მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უბრწყინვალესი ფურცლები.

თამარ ჭავჭავაძემ დიდი წარმატებით განასახიერა ცეცხლოვანი ტემპერამენტის ესპანელი ქალი — ლაურენსია. ლაურენსიამ, მსახიობის შესრულებით, დიდი პოლიტიკური პათოსი მიიღო, მისი მოწოდება ძალადობისა და ტირანიის წინააღმდეგ უზარმაზარ პროტესტად იქცა.

ლაურენსიამდე თ. ჭავჭავაძემ, 1920-22 წლებში, ათზე მეტი როლი განასახიერა ისეთ სპექტაკლებში, როგორიც იყო „ოიდიპოს მეფე" (მხევალი), „ბერდო ზმანია" (ტურფა, ვენბო), „სულელი" (ბარონესა), „გადაჭრილი მუხა" (ნინო), „უგვირგვინო მეფენი" (თეკლე დედოფალი) და სხვა. მაგრამ მსახიობის დიდი შარაგზა ლაურენსიამ გახსნა. იმ დღიდან მოყოლებული მრავალფეროვანი იყო თ. ჭავჭავაძის რეპერტუარი — ძლიერი ტრაგიკული სახეებიდან (ქეთევან დედოფალი, ზეინაბი, ოთარაანთ ქვრივი, ვასა ჟელეზნოვა, კრუჩინინა, ლედი მილფორდი, ბეატრიჩე, ემილია, იოკასტე, დარიკო, სანათა, ხორეშანი), ყოფით კომედიამდე (პეგინ მაიკლი, მის პეჯი, კატრინ ლეფევრი, გულთამზე, დარეჯანი, სულიკო). ასეთი რეპერტუარით მსახიობმა ცხადჰყო თავისი ნიჭის მრავალმხრიობა.

იქ, სადაც მტკიცე, ქედუდრეკი, პირში გაუტეხელი, შეუპოვარი ქალის ხასიათი იყო წარმოსადგენი, თამარ ჭავჭავაძეს ვერვინ შეედრებოდა ჩვენს სცენაზე. ამ მხრივ, მის მიერ შექმნილ შესანიშნავ სახეთა გალერეაში, ზეინაბთან ერთად, საპატიო ადგილი ეჭირა ა. ყაზბეგის ქეთევან დედოფალს, რომელიც განსახიერებული იყო ძუნწი, დახვეწილი შტრიხებით, დიდი შინაგანი სიძლიერით. რა დიადი იყო შაჰ-აბასის წინაშე წარმსდგარი ქეთევან დედოფალი, რამდენი გრძნობა იყო ყრმა შვილთან განშორებისას!

თამარ ჭავჭავაძის მდიდარი აქტიორული შემოქმედების მშვენებად იქცა დიდი ილიას ოთარაანთ ქვრივი. ეს სახე მსახიობმა აღჭურვა ქართველი მშრომელი ხალხის სულიერი სამყაროს მაღალი და კეთილშობილური თვისებებით, ხალხური გონებამახვილობით. მსახიობის გარეგნულ იერშიც მკაფიოდ იხატებოდა ილიას გმირის ინდივიდუალური ბუნება. მისი ქვრივი მორიდებისა და მადლიერების გრძნობას ჰგვრიდა ყველას. რა გულითადობა და გრძნობათა სინაზე იყო გამოხატული შვილთან მისი საუბრის მთელ მანძილზე, რა მღელვარე, ადამიანური გრძნობები იყო გადმოცემული გიორგის სიკვდილის სურათში!..

თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში დიდი ადგილი ეჭირა რუსულ რეპერტუარს, რომლის გვირგვინიც გორკის ვასა ჟელეზნოვა იყო. მთელი სპექტაკლის მანძილზე მსახიობის თამაშში იგრძნობოდა ყოვლისშემძლე ძალა, უძლიერესი სურვილი ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე და ისიც ასრულებდა ამ საქმეს მტკიცედ, მკაცრად, ურყევად. განსაკუთრებით ძლიერად ჟღერდა ჭავჭავაძის შესრულებაში ის სცენა, როდესაც ამაყად აღმართული ვასა აცხადებ-

და თავისი არსებობის კრედოს: „კლასი მე ვარ!“ მაგრამ მას სწორედ ამ დროს უმტყუნა გულმა და ჟელეზნოვა, ისევე როგორც მისივე განწირული კლასი, სასიკვდილოდ დაეცა.

კომედიურ ჟანრში თამარ ჭავჭავაძე იყო მშვიდი და ამავე დროს მიწიერი სილაღისა და მზიური ხალისის ცოცხალი გამომსახველი. მას შესწევდა უნარი ეპოვა გმირული საწყისი სულ უბრალო ყოველდღიურობაშიც კი. ასეთი იყო მისი სულიკო, კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედიიდან“. ჯანღონით სავსე, მომხიბლავი ბუნების, მხიარული, შრომისმოყვარე, მოწინავე კოლმეურნე ქალი სულიკო ამაყია, მაგრამ უაღრესად კეთილი, ტრფიალებით შეპყრობილი და უსაზღვროდ ერთგული თავისი ოჯახისა.

შემოქმედის უძლიერესი გზნებით გააცოცხლა მან ფრანგი მდაბიო ქალი კატრინი (ვ. სარდუს და ჟ. მორის „მადამ სანჟენი“), ეს იყო ნათელი და მხატვრულად დასრულებული სახე გაბედული, ჭკვიანი და თავდადებული მეგობრისა. კატრინის ისტორია სიყვარულის ჰეროიკულ პოემად გაიაზრა მსახიობმა.

დიდი სამამულო ომის წლებში, კავკასიის მისადგომებთან გაშლილ ბრძოლის ველზე, დალოცვასავით ისმოდა ქართველი დედის — თამარ ჭავჭავაძის ძარღვიანი სიტყვა, მიმართული ჩვენი ვაჟკაცებისადმი: მტერს ბუნაგამდე მისდიეთ, ხელს ნუ შეუშვებთ იარაღს და საქართველოში გვასმინეთ ბერლინში თქმული მაყრულიო“. — უხმობდა თამარი ლაშქარს და ბიჭებსაც გულით დაუკოცნიათ ამ დედის კალთა. ხოლო შემდეგში ჯარისკაცები მას სწერდნენ: „თქვენმა ცეცხლოვანმა სიტყვამ: „ჩემო ვეფხვებო, იყავით გაბედულებიო“, გაგვამხნევა, ახალი ძალა შეგვმატა. სანგრებში ჩამოდიოდით. სითბოთი და ნუგეშით ნამდვილი დედა იყავით ჩვენთვის. თქვენმა ვაჟკაცურმა შემართებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ჩვენი ფრონტისა და ზურგის განუყოფელ მთლიანობაში“.

სცენაზე ახალგაზრდებთან მუშაობა განსაკუთრებულ ხალისს მატებდა მას, აამაყებდა მათი პარტნიორობა. ამიტომ მიიღო სიხარულით მონაწილეობა აკ. დვალიშვილის სპექტაკლში „გზა მშვიდობისა“ (რუსთაველის თეატრში). მაყურებელმა განსაკუთრებით აღნიშნა მთავარი გმირის, დედის როლის შემსრულებლის — თამარ ჭავჭავაძის აქტიორული ნამუშევარი. უფროსი თაობის ეს დიდებული წარმომადგენელი, სცენის დახელოვნებული ოსტატი, თავისუფლად გრძნობდა თავს ახალგაზრდა კოლეგებს შორის და ჰქმნიდა ობივატელი ქალის სახეს, რომლის ინტერესები ოჯახის ფარგლებს იქით აღარ მიდის. გამოცდილი მსახიობი კომედიური შტრიხებით მოხერხებულად ხდიდა ნიღაბს თავის გმირს.

თამარს იტაცებდა ქართულ სახეებზე მუშაობა და მაყურებელიც განსაკუთრებული გულისყურით ხვდებოდა მის მიერ წარმოსახულ ყოველ ასეთ გმირს. 1965 წელს, სოხუმში დადგმულმა რომანტიკული სტილის სპექტაკლმა „მამაო თედორემ“ მაყურებლის ყურადღება იმითაც მიიპყრო, რომ სცენაზე კვლავ გამოჩნდა თ. ჭავჭავაძე. კვლავ ვიგრძენით მისი ნიჭის ძალა, რომანტიკა, დაფუძნებული დიდ იდეურ მიზანსწრაფვასა და დიდ შინაგან ტემპერამენტზე. მან ამჯერად თედორეს დედის — ხორეშანის ღრმად დრამატული სახე შექმნა. მსახიობს როლი მიჰყავდა საგმირო ტონალობით, მწვავედ, მომხიბვლელად. მისი რომანტიკული ტემპერამენტი და შესანიშნავი გარეგნობა ისე კარგად ერწყმოდა ერთმანეთს. რომ მაყურებელი ერთი წუთითაც არ ითიშებოდა ხორეშანის პატრიოტული ცხოვრებისაგან.

მაყურებელს უყვარდა თამარ ჭავჭავაძე, ვინაც მთელი თავისი მაღალი აქტიორული ნიჭი, 50 წლის მანძილზე, ქართული საბჭოთა თეატრის წინსვლას მიუძღვნა. მისი ყოველი ახალი როლი ხალხში დიდ ინტერესსა და სიხარულს იწვევდა. ასე იყო მაშინაც, როდესაც მან სოხუმის თეატრის სცენაზე თანამედროვე ამერიკელი დრამატურგის — ჯონ პატრიკის ტრაგიკომედიაში მისის სევიჯის როლი განახორციელა. იგი მსახიობის უკანასკნელი როლი იყო. ჭავჭავაძის სევიჯი ამხელდა თანამედროვე ბურჟუაზიის ცხოვრებას, რომელიც ორპირობას, ძალადობასა და უსამართლობას ემყარება. ჭავჭავაძის სევიჯი იცავდა პატიოსანი, კეთილი ადამიანების მაღალ ღირსებებს და მათვე მოუწოდებდა შებრძოლებოდნენ ცხოვრების მანკიერ მხარეებს. იგი ვერ ურიგდებოდა ადამიანთა მტაცებლურ თვისებებს, თამამად გამოდიოდა იმათ დასაცავად, ვინც ცხოვრების უკუღმართობით არანორმალურთა სავანეში მომწყვდეულან. თამარ ჭავჭავაძის მისის სევიჯი, რამდენადაც გულისხმიერი, გულთბილი და ნაზად მოყვარული იყო ჩაგრულთა მიმართ, იმდენად შეურიგებელი, სასტიკი და ირონიული იყო თავისი ოჯახის წევრებისადმი, რომელთაც ადამიანური აღარაფერი შერჩენიათ.

თამარ ჭავჭავაძემ თავისი გმირულ-რომანტიკული შემოქმედებით ბევრჯერ ასახელა ქართველი ხალხი. ის საუცხოოდ აქანდაკებდა ადამიანის სულს, მის შინაგან სამყაროს. ნათელი სიცოცხლის ტრფიალით სავსე ეს მსახიობი, შთამაგონებელი ტალანტის წყალობით, მგზნებარე ტემპერამენტით, სცენურ ქმნილებათა სიღრმითა და ჭეშმარიტი რეალისტური ოსტატობით ისწრაფოდა გმირულისაკენ. ამიტომ ვერ კმაყოფილდებოდა იგი პატარა ბედნიერებით, ვერც სცენაზე და ვერც ცხოვრებაში.

ეს ნათელი ნიჭის კეთილშობილი შემოქმედი სცენაზე შინაგანი წვის უმაღლეს თვისებებს გარეგნული გამოსახვის ისეთი ძვირფასი საშუალებებით ავსებდა. როგორიცაა ძალა და სისადავე. ცხოვრებაში კი საოცრად უშუალო, ბავშვურად მიამიტი, ახლობელი და ამაღელვებლად საყვარელი იყო ყველასათვის.

**ნინო შვანგირაძე**



ლაურენსია — „ცხვრის წყარო“

ოთარაანთ ქვრივი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისაუბროთ ბავშვთა აღზრდის საკითხებზე

## შეკრება რედაქციაში

უჩვეულო გამოცოცხლება იყო იმ დღეს ჩვენს რედაქციაში. მრავალი საუბარი გამართულა, მრავალი სტუმარი მოგვიწვევია, მაგრამ ასეთი ხალხმრავლობა არა გვქონია.

ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ყველა მოპატიჟებული შემოაღებდა ჩვენი ოჯახის კარს და ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოვჩნდით რედაქციის დიასახლისები.

ზოგი მათგანი მცირეხნით გვეწვია, მაგრამ ისე გავერთვეთ საუბარში, რომ ვერც გავიგეთ, დღე ისე მიიწურა.

ვინ იყვნენ ჩვენი სტუმრები? — ბავშვთა აღმზრდელობითი ქსელის თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლები, საუბრის საგანი კი, — ბავშვები, ჩვენი ახალგაზრდობა. და ეს ბუნებრივიცაა! — სად უნდა იყოს საუბარი შვილებზე, თუ არა ქალთა, დედათა ოჯახში?

ნურავინ იფიქრებს საგანგაშო გვჭირდეს რამე! ბავშვთა აღზრდა ყველა დროის ადამიანების უპირველესი საფიქრალი იყო. მათზე ზრუნავდნენ მოწინავე ადამიანები უძველეს საუკუნეებიდან — დღემდე, იწერებოდა და იწერება ტომები: პლატონი და არისტოტელე, რუსო, დიდრო, დისტერვეგი, პესტალოცი, კომენსკი, კრუპსკაია, უშინსკი, მაკარენკო, გოგებაშვილი, შაცკი... და მთლიანად პროგრესული მწერლობა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მხოლოდ ფორმა ზრუნვისა და მომთხოვნელობა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ზრდა-განვითარება მუდამ წინაღობებით, ბრძოლით, ტკივილებით მიემართებოდა. არსებულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა წარმოშობდა ახალ იდეებს და ეს იდეები, მათთვის ბრძოლისა და თავგანწირვის უნარი ახალგაზრდობას მოჰქონდა თან, მაგრამ მშობლებს ყოველთვის ეგონათ, რომ არა ჰყავთ ღირსეული ცვლა, რომ მათი შვილები სათანადოდ ვერ უფრთხილდებიან, ვერ ანვითარებენ მათ მიერ დაწყებულ საქმეს.

ცხოვრება კი მიიწევდა წინ და მაღლა საუკუნეთა საფეხურებით და რაც უფრო მაღლდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სართულები, მით უფრო რთულდებოდა ოჯახისა და მთლიანად საზოგადოებრიობის ამოცანები და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა-მოვალეობანი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

რა საზრუნავი აქვს ამ მხრივ, დღეს, კაცობრიობას?

იქ, სადაც მილიონობით ახალგაზრდა შიმშილის, სიღატაკისა და უმეცრების მარწუხებშია, საზოგადოების მთავარი საზრუნავი მათი ფიზიკური გადარჩენაა, ხოლო ზოგ „ზედმეტად ცივილიზებულ“ ქვეყანაში, სადაც მთელი აღმზრდელობითი სისტემა, რადიო, ტელევიზია, კინო, თეატრი სულიერად ამახინჯებს მოზარდებს, საღად მოაზროვნე ადამიანები სასოწარკვეთილებას შეუპყრია.

ჩვენ არც ერთი ამ საშიშროებათაგან არ გვემუქრება, რადგან დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ჯანმრთელ, განათლებულ, ბედნიერ თაობათა აღზრდა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს, უპირველეს საქმედ იქცა, მაგრამ თავისებური სიძნელეები ჩვენც გაგვაჩნია.

ცხოვრება დღეს, ატომის ეპოქაში, მეცნიერებისა და ტექნიკის ამ ზღაპრულად მზარდ ვითარებაში, მეცნიერული ინფორმაციების უჩვეულო მოზღვავების პირობებში, საოცრად რთულია, — რთულია და ამავე დროს მეტად საინტერესო. იგი ბევრს მოითხოვს ჩვენგან — უფრო მაღალ განათლებას, კულტურას და რაც მთავარია, ცოდნის განუწყვეტელი ზრდისა და დაგროვების უნარს.

ეს თანაბრად შეეხება, როგორც აღსაზრდელებს, ისე აღმზრდელებს, ვინაიდან „როგორც არავის შეუძლია მისცეს სხვას ის, რაც თვითონ არ გააჩნია, ისევე არ შეუძლია განავითაროს, აღზარდოს და განანათლოს სხვები მან, ვინაც თვითონ არაა განვითარებული, აღზრდილი და განათლებული“ — ამბობს გერმანელი პედაგოგი, დემოკრატი ადოლფ დისტერვეგი.

რამდენად ვდგავართ დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე, რამდენად ვართმევთ თავს ამ ამოცანებს? — ძირითადად კარგად!

ამის დამადასტურებელია ის ნიჭიერი, განათლებული, სახელოვანი ახალგაზრდობა, რომელიც ჩვენზე უფრო მრავალრიცხოვან ერსაც ეყოფა თავმოსაწონად!

ეს ახალგაზრდობა ავსებს სკოლებსა და ინსტიტუტებს, ამყარებს შრომით რეკორდებს, იმარჯვებს გონებისა და ფიზიკური ძალების შეჯიბრებებში, იმკვიდრებს მსოფლიო სახელს, იბრძვის, იღწვის და აღმოაჩენს...

მაგრამ ამ გმირულ ფონზე და სწორედ იმიტომაც, რომ იგი გმირულია და დიდებული, აქა-იქ სამარცხვინო ლაქად მოჩანს ზოგიერთი ჩვენივე შვილის სახე და გაისმის შეშფოთების ზარი მილიციიდან, პროკურატურიდან...

რედაქციაში მოგვდის წერილები, მშობლები გვთხოვენ დავარიგოთ, დავეხმაროთ..

დედებს განსაკუთრებული მგრძნობელობა გვახასიათებს, — ჩვენი შვილების კარგისა და ავის გაზვიადების უნარი, და განსაკუთრებული მღელვარებით განვიცდით მათ ბედს. და ეს გასაგებიცაა! ხალხს უთქვამს „ერთი ბეღელი ფეტვის მარცვალ-მარცვალ გადარჩევა უფრო ადვილია, ვიდრე ერთი ბავშვის აღზრდაო“.

ასეც რომ არ იყოს, ყოველი ბავშვის დაბადება ხომ მშობლების ზეიმია. შევხარით მის ყოველ ნაბიჯს, ღიმილს, ტიტინს, მის პირველ გაკვეთილსა და პირველ წარმატებას, ვათევთ ღამეებს მის სასთუმალთან, ვოცნებობთ მის ბრწყინვალე მომავალზე... და ვამაყობთ, რომ ყველაფერზე უმშვენიერესის — სიცოცხლის შემოქმედნი ვართ, სიცოცხლის, რომელიც განსაკუთრებული ფერებით ჰხარობს, ჰყვავის, სიცო-

ცხლის, რომელიც მოსულა ქვეყნად, რომ სთქვას თავისი სიტყვა, დასტოვოს წარუშლელი კვალი...

დიდი ხანია მოძველდა თქმა: „თითო მახინჯი ყველა ოჯახშია“.

ჩვენს დღევანდელობას არ შეფერის არავითარი სიმახინჯე! და ჩვენ არ შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, სანამ ჩვენ შორის მოიპოვება უცხო ლექსიკითა და დანებით შეიარაღებული, სასმელებითა და ათასგვარი გამაბრუებელი საშუალებებით ჭკუადაბნეული, გზასაცდენილი ერთი ახალგაზრდაც კი!

საზოგადოებრიობა დიდი ძალაა!

და არც ისე მრავალშვილიანნი ვართ, რომ ვერ შევძლოთ ჩვენს ბავშვებზე კონტროლის დაწესება.

„როგორი იქნება ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ჩამოვაყალიბებთ მას ხუთი წლის ასაკისათვის“ — ამბობს მაკარენკო.

ვინ ზრდის პატარას? — ოჯახი, ბაგა, ბაღი, გარემო.

„სკოლის წლები ის დროა, როცა ყალიბდება შეხედულებანი, როცა აღიძვრის და დამაჯერებელ პასუხს მოითხოვს ბევრი „რატომ“ და „როგორ“. ნორჩ ასაკს, როგორც ცნობილია, ახასიათებს გადიდებული შთაბეჭდილებიანობა, ცოდნისმოყვარეობა, მაძიებლობა, ახლისადმი რომანტიკული სწრაფვა. ყოველივე ეს ტაქტით უნდა განვავითაროთ, კეთილი საქმეებისკენ წარვმართოთ“. — ნათქვამია ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მასწავლებელთა საკავშირო ყრილობაზე.

ვინ ანვითარებს და წარმართავს მოზარდის ბუნებას? — ოჯახი, სკოლა, გარემო.

და ბოლოს: „თუ წარმატებით შეარჩევთ საქმეს და ამ საქმეში ჩააწნავთ სულს, ბედნიერება თვითონ გიპოვით თქვენ“ — ამბობს უშინსკი.

ვინ ეხმარება ახალგაზრდას პროფესიის არჩევასა და კვალიფიკაციის მიღებაში?

ოჯახი, სკოლა, ინსტიტუტი, საზოგადოებრიობა.

რედაქციაში შეკრებილთა მთავარი ყურადღება ეგრეთწოდებულ „ძნელად აღსაზრდელ“ ბავშვებზე იყო გამახვილებული.

მაკარენკოს ბავშვის აღზრდა იოლ და სასიხარულო პროცესად მიაჩნია, — თუ ეს პროცესი სწორადაა წარმართული.

ჩანს, ყოველთვის ასე როდია!

და თუ ჩვენ მივაკვლევთ აღმზრდელობითი სისტემის ჯაჭვის რომელ რგოლში იყო დარღვევა, რამაც შეაფერხა ამა თუ იმ მოზარდის ნორმალური განვითარების პროცესი, ვფიქრობ, შევძლებთ მრავალი საფრთხის თავიდან აცილებას.

სწორედ ამ სურვილმა, — მიზეზთა-მიზეზის ძიებამ შეგვყარა ერთად.

რედაქცია დიდ მადლობას უხდის ჩვენი შეკრების მონაწილეებს და მართალია, ჟურნალის მოცულობა არ გვაძლევს საშუალებას მთლიანად დავბეჭდოთ ყველა მათგანის გამოსვლა (ზოგ შემთხვევაში გამომსვლელთა აზრები ერთმანეთს ემთხვევა!), მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ისიც, რაც გამოქვეყნდება, სარგებლობას მოუტანს ჟურნალის მკითხველებს და საერთოდ ბედნიერი შთამომავლობის აღზრდის დიდ კეთილშობილურ საქმეს.

ვინაიდან ჩვენი საუბარი მაინც ძნელად აღსაზრდელ მოზარდებს შეეხება, პირველ რიგში სიტყვას ვაძლევთ მართლმსაჯულების დარგის მუშაკებს.

# ლაპარაკობენ:

პავლე ბერძენიშვილი,
საქართველოს სსრ რესპუბლიკის
პროკურორი.



მე, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელი, ყურადღებას მხოლოდ და მხოლოდ ნაკლოვანებებზე გავამახვილებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქად მცხოვრები არასრულწლოვანი ბავშვები უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს, ვიდრე სოფლად მცხოვრებნი. ეს უმთავრესად შემდეგი მიზეზებით უნდა აიხსნას:

უპირველეს ყოვლისა, მჭიდრო დასახლება აადვილებს არასასურველ კონტაქტებს; მეორეც, მშობლები მუშაობენ საცხოვრებელი სახლებიდან დაშორებით და უძნელდებათ სისტემატური ზედამხედველობის გაწევა თავიანთ შვილებზე.

არასრულწლოვანთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულად ქურდობა ითვლება.

ამგვარი დანაშაული მატერიალური გაჭირვების საფუძველზე თითქმის არ შეგვხვედრია. დანაშაულის გზით აღებულ ფულს მოზარდები ხარჯავენ კინო-სურათებსა და სხვა სანახაობებზე დასასწრებად, ტაქსებით სასეირნოდ, სასმელების საყიდლად და სხვა.

უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვანები უმეტეს შემთხვევაში ხჩადიან წვრილმან ქურდობას, ვთქვათ სავაჭრო ფარდულებიდან და ბუფეტებიდან იპარავენ პაპიროსებს, შოკოლადებს, კონიაკებს და ხშირად ხელს არ კიდებენ ძვირფას ნივთებს: საათებს, ფეხსაცმელებს, საგალანტერიო ნაწარმს და სხვას. ზოგჯერ ნაძარცვ ნივთებს უსარგებლოდ ყრიან.

მოზარდის მონაწილეობა ქურდობაში უმეტესად ხდება ცუდი ამხანაგის ზეგავლენით, ეშინია არ ჩამორჩეს თავის „მეგობარს“, არ შეერქვას მშიშარას სახელი. მათთან გასაუბრების დროს, ხშირად მომისმენია გულწრფელი აღიარება: „არ ვიცი რატომ ჩავიდინე“, „ამხანაგებს არ ჩამოვრჩი“, „ჩავიდინე ჩემი სისულელით“ და სხვ.

„ახალგაზრდა კომუნისტში“ ჟურნალისტმა როზანოვამ მოათავსა წერილი — ჯერ კიდევ არ არის გვიან“. მან ამ სტატიით მოგვითხრო იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მასზე მოახდინა კუიბიშევის სასამართლო პროცესმა, რომელზეც ირჩეოდა საქმე მოზარდების ჯგუფის მიერ ქალის გაუპატიურების გამო. გადაწყვიტა შეესწავლა იმ დაწესებულებათა საქმიანობა, რომლებიც მოზარდი თაობის სქესობრივი აღზრდის საკითხზე მუშაობენ. ამ მიზნით შემოიარა ჩვენი ქვეყნის ყველა სამეცნიერო დაწესებულება და ვერ ნახა ვერც ერთი სექტორი ან ლაბორატორია, ვერც ერთი თანამშრომელი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობდა.

ამის შემდეგ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ვ. ნ. კოლბანოვსკიმ ჟურნალ „სოვეტსკაია პედაგოგიკაში“ (1964 წელი, № 8) მოათავსა წერილი მოზარდი თაობის სქესობრივი აღზრდის საკითხებზე.

ეს წერილი იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ასაბუთებს ერთიანი მეცნიერული ცენტრის შექმნის აუცილებლობას. ეს ცენტრი თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენებით იმუშავებდა მოზარდთა სქესობრივი აღზრდის პრობლემებზე. წერილის ავტორს მოყავს მაკარენკოს სიტყვები: „ასწავლო სიყვარული — ეს ნიშნავს, ასწავლო შეიგრძნოს სიყვარული, ასწავლო იყოს ბედნიერი — ეს ნიშნავს ასწავლო დააფასოს თავისი თავი, ასწავლო მოქალაქეობრივი ღირსების შეგნება“. ამ მიზნისათვის, სწერს ავტორი, მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ კულტურისა და იდეოლოგიის ყველა საშუალება, მხატვრული ლიტერატურა, კინო, თეატრი, ფერწერა, სკულპტურა, მუსიკა, ცეკვა.

ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების წინაშე დგას დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა: უპასუხონ ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ მოთხოვნილებას, მაღალიდეური, სპეტაკი სიყვარულის თემა ასახონ საინტერესო მხატვრული და მიმზიდველი ფორმით.

წერილის ავტორმა აქ არ დაივიწყა გორკის სიტყვები: „კულტურა არის ორგანიზებული ბატონობა გონებისა ადამიანთა ზოოლოგიურ ინსტიქტებზე“. და ბოლოს, ავტორი აუცილებლად მიიჩნევს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ფსიქო-ფიზიოლოგიის ლაბორატორიის შექმნას, სადაც იმუშავებენ ბავშვთა და მოზარდთა სქესობრივი აღზრდის საკითხებზე და რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები, სახელდობრ, ფილოლოგები, ფსიქოლოგები, ექიმები, სოციოლოგები. ჩვენი აზრით, დღევანდელი მდგომარეობა გვიკარნახებს ვილონოთ რაიმე ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად.

* * *

მკვლელობას არასრულწლოვანები ძირითადად იდენენ მოუფიქრებლად, ჩხუბის დროს, ხულიგნური მოქმედების შედეგად, არაფხიზელ მდგომარეობაში.

რაც შეეხება გაუფრთხილებლობით მკვლელობას, ამ სახის დანაშაულის ჩადენაში ბრალი მოზარდებზე მეტად მშობლებს, უფროსებს მიუძღვით, ისინი ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ ცეცხლმსროლელ იარაღს, განსაკუთრებით სანადირო თოფებს, ბავშებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას, რასაც ზოგჯერ უბედური შემთხვევა მოსდევს.

იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ აღმოიფხვრას მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები, პირველ რიგში, საჭიროა იმ მიზეზების მოსპობა, რაც იწვევს დანაშაულს არასრულწლოვანებში.

ამ მიზეზთა შორის ძირითადია მშობლების სუსტი ზედამხედველობა ოჯახსა და სკოლაში, მშობლებს შორის კონფლიქტი, ასაკისათვის შეუფერებელი წიგნების კითხვა, ბავშვისათვის აკრძალული კინოფილმების ნახვა და სხვა.

დამნაშავე არასრულწლოვანების დიდი უმრავლესობა სკოლიდან განთესილი ბავშვები არიან (ისინი თავს არიდებენ მუშაობას და არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას), აგრეთვე ის მოზარდები, რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ, მაგრამ მშობლებისა და სკოლის სათანადო მეთვალყურეობა აკლიათ.

ცნობილია, რომ ბოროტმოქმედება სათავეს ცუდ აღზრდაში იღებს, ბავშვის აღზრდას საფუძველი ოჯახში ეყრება, ამიტომ ოჯახზე დიდად არის დამოკიდებული, როგორ მოქალაქედ გაიზრდება ბავშვი.

აუცილებელია ფართო მსჯელობის საგნად იქცეს ულირსი მშობლების საქციელი, როგორც სამუშაო, ასევე საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მშობლებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ რა უყვარს, რა აინტერესებს მათ შვილს, ვისთან მეგობრობს, ვისთან ერთობა, რას კითხულობს და როგორ ითვისებს წაკითხულს, რა სიძნელეები ხვდება სკოლაში და პირად ცხოვრებაში, როგორ უჭირავს თავი სკოლაში და სკოლის გარეთ. იმისათვის, რომ ბავშვს ვასწავლოთ იყოს პატიოსანი, გულმართალი, შრომისმოყვარე და თავმდაბალი, საჭიროა არა მარტო ჭკუის დარიგება, არამედ კარგი მაგალითის მიცემაც. მაგალითს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შვილების სწორ აღზრდაზე ფიქრი საჭიროა ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე.

უნდა გვახსოვდეს დიდი რუსი პედაგოგის ა. ს. მაკარენკოს სიტყვები: „არ იფიქროთ, თითქოს ბავშვს ზრდით მხოლოდ მაშინ, როცა ელაპარაკებით და ჭკუას არიგებთ, ან უბრძანებთ. თქვენ მას ზრდით თქვენი არსებობის ყოველ მომენტში, მაშინაც კი, როცა შინ არა ხართ: როგორ იცვამთ, როგორ ელაპარაკებით სხვებს, როგორ ლაპარაკობთ სხვებზე, როგორ მხიარულობთ ან წუხხართ, როგორ ეპყრობით მეგობრებსა და მტრებს, როგორ იცინით, როგორ კითხულობთ გაზეთს. თუ შენ უხეში ან მკვეხარა ხარ, ლოთობ და, რაც უფრო უარესია, დედას შეურაცხყოფ, შენ უკვე უდიდეს ზიანს აყენებ შენს ბავშვებს, შენ უკვე ცუდად ზრდი მათ, და შენს ულირს საქციელს სავალალო შედეგები ექნება. მშობელთა მოთხოვნილება საკუთარი თავისადმი, პატივისცემა საკუთარი ოჯახისადმი, კონტროლი ყოველი თავისი ნაბიჯისა — აი აღზრდის პირველი და უმთავრესი მეთოდი“.

ბავშვთა სწორად აღზრდის საქმეში ოჯახის გარდა დიდ როლს ასრულებს სკოლა. რადგან ბავშვი თითქმის მთელი დღის განმავლობაში სკოლაში იმყოფება. იმ სკოლებში, სადაც ბავშვთა აღზრდის საქმე სათანადო სიმაღლეზე არ დგას, შედეგებიც არასახარბიელოა.

გაუნათლებლობას, დაბალ განვითარებასა და კულტურას მივყავართ ადამიანის ინტერესების გაუბრალოებისაკენ, შეხედულებათა გაუხეშებისაკენ, ინდივიდუალისტური ტენდენციებისა და ეგოისტური ინსტიქტების განვითარებისაკენ. შემთხვევითობას არ უნდა მიეწეროს ის, რომ მათ, ვინც გასამართლებულია მძიმე დანაშაულისათვის, მხოლოდ დაწყებითი განათლება აქვთ მიღებული, ან არ გააჩნიათ არასრული საშუალო განათლება.

როგორც ითქვა, ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში დიდია კინოს, თეატრისა და სხვა სანახაობათა როლი. მშობლებმა თვითონ უნდა შეურჩიონ შვილს, რა კინოსურათის ან რა სპექტაკლის ნახვა შეიძლება მისთვის. არის შემთხვევები, როდესაც უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვი თვითნებურად მიდის ისეთი კინოფილმების სანახავად, რომელიც მისი ასაკისათვის შეუფერებელია.

ზევით ლაპარაკი გვქონდა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა გამომწვევ მიზეზებზე. მათ გარდა არის აგრეთვე მთელი რიგი პირობები და გარემოებანი, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა წარმოშობას. ასეთებია: ზოგიერთ სკოლაში და საწარმო-დაწესებულებაში აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონე, სკოლისა და წარმოების გარეთ დარჩენილ მოზარდთა მიმართ უყურადღებობა, მილიციის ბავშვთა ოთახების მუშაკთა ნაკლები აქტიურობა არასრულწლოვანთა უზედამხედველობასა და უმეთვალყურეობასთან ბრძოლის საქმეში. სკოლებში ჯერ კიდევ არის გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. ზოგიერთი მოსწავლე მთელი დღე ქუჩაში უსაქმოდ დაეხეტება. ერთ გაცდენას მეორე მოსდევს, შემდეგ იგი უსაქმურობას ეჩვევა და გაკვეთილების გაცდენა ჩვევად ექცევა. ამას კი ხშირ შემთხვევაში პედაგოგები და კომკავშირული ორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ. უნდა ვიცოდეთ, რომ გზასაცდენილი ბავშვის გამოსწორება უფრო ძნელია, ვიდრე ბავშვის თანმიმდევრული, წესიერი აღზრდა. ცნობილია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ისეთი მოსწავლეები ჩადიან დანაშაულს, რომლებიც სისტემატურად აცდენენ გაკვეთილებს.

ბავშვთა სწორად აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით მასწავლებლის კვალიფიკაციას, მის მორალურ და იდეურ დონეს.

* * *

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს საწარმოში ან დაწესებულებაში სამუშაოდ მოსული ახალგაზრდების მიმართ ცალკეულ ხელმძღვანელთა უსულგულობა, ბიუროკრატიული დამოკიდებულება. არის შემთხვევა, როცა პატიოსან,

შრომასმოწყურებულ ახალგაზრდას დაწესებულების ხელმძღვანელი უჭიანურებს სამუშაოზე გაფორმების საქმეს.

მოზარდის აღზრდა ან გამოსწორება ყოველდღიური საქმეა, იგი ვერ ითმენს შაბლონს. თუ კი ყველა, ვისაც ნორჩი თაობის აღზრდის საპატიო მისია აკისრია, კარგად დაეუფლება აღმზრდელობით საქმეს და მკაცრად იხელმძღვანელებს სოციალისტური კანონების პრინციპებით, მოზარდის აღზრდის საქმე უფრო ეფექტური იქნება.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დამოკიდებულია ყოველი ადამიანის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე სოციალისტური კანონების დაცვის საქმეში. რადგანაც საბჭოთა სახელმწიფოში მოქმედი კანონები წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ნების გამოხატულებას.

საერთო დანაშაულებასთან და კერძოდ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ამოცანები დღევანდელ ეტაპზე განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის ივლისის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ ყველა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელთაც ბავშვთა აღზრდა და მეთვალყურეობა ევალებათ.

მშობლების, სკოლის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და მთელი საზოგადოებრიობის ვალია, მუდმივ მზრუნველობას იჩენდნენ მოზარდი თაობისადმი.



**თამარ ფოცხვერია,**
საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეებზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.

ერთ-ერთმა არასრულწლოვანმა დამნაშავემ, რომელიც ჩვენებას საერთოდ არ იძლეოდა, და მეტისმეტად გულჩათხრობილი იყო, ასეთი რამ მითხრა:

„არავინ არ იცის რამდენჯერ ჩავსულვარ სარდაფში და მიტირია, როდესაც ეზოში თამაშის დროს დავუმცირებივარ ბავშვებს ან ბავშვების დედებს. ყოველთვის იმაზე ვფიქრობდი, რომ მე უმამო ვარ და ყველა დამჩაგრავს. უმამობა ძალზე ძნელია, ამას ყველაზე ძლიერ სკოლაში განვიცდიდი, როცა ანკეტას მივსებდნენ: სად მუშაობს მამა, რა სპეციალობა აქვს, სად არის იგი? ჩემს პასუხზე: არ ვიცი-მეთქი, ყველა იცინოდა. მე კი ცრემლად ვიღვრებოდი და მეძნელებოდა მეთქვა, რომ „მარტოხელა დედის“ შვილი ვიყავი. ამიტომ მივატოვე სწავლა და თითქმის ყველა შევიძულე“.

ბავშვმა მიატოვა სწავლა, შეიძულა ადამიანები, მიაშურა ქუჩას და ქუჩამ კი დანაშაულისაკენ უბიძგა მას. ვინ არის დამნაშავე? რა თქმა უნდა, მშობლები, უფროსები.

კიდევ ერთი მაგალითი მინდა გითხრათ მშობლების დანაშაულზე: ჟორას მამა ვაჭრობის დარგის მუშაკი იყო. არავინ იცის რა გზით, ოჯახში ფული ბლომად შემოდიოდა. ფულით გაყოყოჩებული კაცი ხშირად ნაბახუსევი ბრუნდებოდა შინ და იწყებოდა ცოლის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფა. წარამარა იყრებოდა და რიგდებოდა ცოლ-ქმარი, ქმარზე განაწყენებული დედა ხშირად ეტყოდა შვილს მამის აუგს. დედა რომ დატუქსავდა შვილს, მამა მაშინვე მუშტიკრივზე გადადიოდა დედასთან, მაგრამ თუ მამა გაუჯავრდებოდა ბიჭს, დედა მზად იყო თვალები ამოეკაწრა ქმრისათვის. ოჯახის მაგალითი ჟორამ სკოლაში გადაიტანა. ჯერ გოგონები დაიჯაბნა, მერე ბიჭებს დაუწყო ცემა და მალე ფიზიკურად სუსტი ხელქვეითები გაიჩინა. მეხუთე კლასამდე ფრიადზე სწავლობდა. შემდეგ ჟორას ნიშნებში ჯერ სამიანებმა, მერე ორიანებმა იჩინეს თავი. ჟორას დედა ქვეყანას შესჩიოდა: ამა და ამ მასწავლებელს ჩემი ჟორას ინტერესი აქვს და იმიტომ უწერს ორიანსო. შვილის თვალწინ მასწავლებლებს მიწასთან ასწორებდნენ მშობლები. „დამნაშავე“ მასწავლებლები პირივით შეიძულა ჟორამ. იმის მაგივრად, რომ შვილი გაეკიცხათ და რეჟიმში ჩაეყენებინათ, ჯიბის ფულსა და ფერად-ფერად საჩუქრებს არ აკლებდნენ მშობლები. კერძო რეპეტიტორებიც აუყვანეს. ასე იყო თუ ისე, ჟორა მერვე კლასამდე ძლივს მიჩანჩალდა, თანაც მას თექვსმეტი წელი უსრულდებოდა და გადაწყდა „მოსწრებული“ შვილისათვის გრანდიოზული დაბადების დღე გადაეხადათ.

ბავშვებს ცალკე ოთახში გაუშალეს სუფრა. თამადობა ჟორამ იკისრა. ჯერ პატარა ჭიქებით დაიწყო, მერე ჩაის ჭიქებზე და ყანწებზე გადავიდა. მშობლებს აზრად არ მოსვლიათ, ერთხელ მაინც დაეხედათ ბავშვებისათვის. დიდხანს გაგრძელდა ღრეობა. ღამის პირველ საათზე, როგორც იყო, წამოიშალნენ მთვრალი გოგო-ბიჭები. ჟორა გაჭირვეულდა: ამხანაგები უნდა გავაცილოო. არავის უთქვამს უარი. ბავშვების მეტმა წილმა სახლებს მიაშურა, ჟორას კი სურვილი აღეძრა თავის „ხელქვეითებთან“ ერთად რუსთაველზე დაერტყა ბოლთა. ჯერ ურნებს დაეჭიდნენ და აბურთავეს, მერე ჟორამ პროსპექტზე მომავალი ხანშიშესული ცოლ-ქმარი შენიშნა. კაცის ხელზე ოქროს საათი ბრწყინავდა. უცბად ბიჭს ჟინმა წამოუარა: ამ კაცისათვის საათი წაერთმია და ამით ამხანაგებისათვის ვაჟკაცობა დაემტკიცებინა, მაგრამ საიდანღაც გაჩნდა მილიცია და ჟორა საბრალმდებლო სკამზე აღმოჩნდა.

არასრულწლოვანთა კოლონიაში ჟორა სამაგალითო ბიჭად ითვლებოდა, მაგრამ შინ რომ მობრუნდა, ახალი უსიამოვნება დახვდა — მამა დაეპატიმრებინათ. საცა არ მივიდა სამუშაოსათვის, ყველგან ამრეზით შეხვდნენ. სწავლის გაგრძელებაზე გაგონებაც არ უნდოდა. ვერ გასჭრა დედის ცრემლებმა.—დედას ხომ შვილის თვალში მამამ ავტორიტეტი შეულახა. უავტორიტეტო დედას არ დაემორჩილა შვილი და იხევ ქუჩისკენ გაიწია.

ჩემი გამოცდილების საფუძველზე მთელი რწმენით შემიძლია გითხრათ: დანაშაულის საწყისი ოჯახიდან მომდინარეობს.

**ლუბა არზიანი,**
*სახალხო მოსამართლე.*



მართლაცდა არიან ისეთი მშობლები, რომლებიც სრულებით არ აქცევენ ყურადღებას ბავშვთა აღზრდას. უფრო მეტიც, არიან ისეთებიც, რომლებიც დამნაშავე შვილის გასამართლებასაც კი არ ესწრებიან. ეს განსაკუთრებით მამებს ეხებათ.

16 წლის მაყვალა ქ. ქურდობისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული, იგი დაავადებული აღმოჩნდა ვენერიული სენითაც. მამა საერთოდ სასამართლოში არ მოსულა, ხოლო დედამ არ იცოდა შვილის ასავალდასავალი, რომელიც ვენდისპანსერიდან გაიპარა.

ამას წინათ ორი ოცი წლის ქალი გავასამართლეთ, მართალია ისინი სრულწლოვანები იყვნენ, მაგრამ დანაშაულს ჯერ კიდევ არასრულწლოვანების ასაკში სჩადიოდნენ. მათ მშობლებს არც უფიქრიათ გზასაცდენილი შვილების აღზრდაზე, ისინი განქორწინებული არიან. დედების განცხადებით, მარტო ვერ შესძლეს შვილის აღზრდა, მამებს კი ერთხელაც არ მოუკითხავთ შვილები, მარტო იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ საზრდოს უგზავნიდნენ.

მშობლების უყურადღებობისა და დაუდევრობის შედეგად ჩაიდინა დანაშაული ბაკა დ-მ. იგი მამამ მიატოვა, დედასთან იზრდებოდა; დედა მასწავლებელია. ბაკა თვეების მანძილზე ამზადებდა სახლში ცეცხლმსროლელ იარაღს. დედამ ერთხელაც არ კითხა შვილს, რას აკეთებდა იგი. კიდევ უარესი, ათი მანეთი მისცა ბაკას საქეიფოდ. ქეიფს დანაშაული მოჰყვა.

სკოლა დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, მაგრამ ძირითადი მაინც ოჯახია. შვიდი წლის ბავშვი, რომელიც პირველად მივიდა სკოლაში, თითქმის ჩამოყალიბებულია, აქვს ქცევის გარკვეული ჩვევები.

ბავშვი უფრო მეტ დროს ოჯახში ატარებს, იგი მშობლების გავლენის ქვეშაა და თუ მას სწორი აღზრდა ოჯახმა არ მისცა, სკოლაში ამის თავიდან დაწყება ნაგვიანებიც იქნება, ამიტომ პირველ რიგში მშობლებს უნდა მოეთხოვოს პასუხი შვილის საქციელზე.

**ა. მარგიშვილი,**
*მცირეწლოვან დამნაშავეთა ავჭალის შრომითი გამასწორებელი კოლონიის უფროსი.*



იმ მიზნით, რომ გუშინდელი დამნაშავიდან აღვზარდოთ საზოგადოების სასარგებლო წევრი, ვიყენებთ ორ მეთოდს: ესაა დარწმუნება და იძულება.

პიროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური გარდაქმნა წარმოადგენს პროცესს, რომელშიც განსაზღვრულ თანაფარდობაში ხდება უარყოფით თვისებათა რღვევა და დადებით თვისებათა წარმოქმნა.

პირველი ამოცანის გადაწყვეტა ხერხდება მხოლოდ იძულებით, მეორე კი დარწმუნების მეშვეობით.

მაგრამ მიზანი მიღწეულად არ ჩაითვლება, თუ ყოფილი დამნაშავე გარდაიქმნა სოციალურად ნეიტრალურ პიროვნებად, ჩვენი ვალია, ვაქციოთ იგი საზოგადოების სოციალურად აქტიურ წევრად, ე. ი. შეგნებულად ჩავრთოთ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

განათლების მიხედვით თუ დავყოფთ, ჩვენი აღსაზრდელების 80 პროცენტი ხუთ კლასამდე განათლებითაა, 50 პროცენტი — VII კლასამდე.

დამნაშავეთა 70-75 პროცენტის განათლების დონე 2-3 კლასით მაინც ჩამორჩება მათ ასაკს.

ეს ფაქტები მოწმობს მშრომელებისა და სკოლის მიერ დაშვებულ დაუდევრობაზე, არასაკმაო ყურადღებასა და დახმარებაზე.

სწავლაში ჩამორჩენა, ან სწავლის ადრეული შეწყვეტა, სათანადო განათლების უქონლობა, ხელს უწყობს მდაბალი ინტერესების დამკვიდრებასა და ეგოისტური ინსტიქტების გაღვივებას მოზარდის ბუნებაში, მის გაუხეშებას. როდესაც მოზარდს არა აქვს არც სწავლის, არც შრომის სურვილი ეძებს სხვა ინტერესებს: მეგობრობს საეჭვო ყოფაქცევის ამხანაგებთან, ანტისაზოგადოებრივ ელემენტებთან, ან აქვს მიდრეკილება სხვადასხვა მანკიერებისადმი: აზარტული თამაში, ალკოჰოლი, ნარკოტიკები, სქესობრივი ალვირახსნილობა და სხვა.

დამნაშავეთა გამოსწორება რთული და მძიმე პროცესია. ესაა მისი შინა სამყაროს, მისი ჩვევებისა და მოქმედების სრული გარდაქმნა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაღწევთ, როდესაც დამნაშავეში იღვიძებს თავისი თავით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და სურვილი — იცხოვროს სხვა, პატიოსანი შრომითი ცხოვრებით.

უკანასკნელი 5 წლის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დიდი უმეტესობა კოლონიიდან გასული მოზარდებისა დაადგა გამოსწორების გზას — ცხოვრობენ პატიოსნად, სწავლობენ, შრომობენ და კეთილ სახელსაც იმკვიდრებენ. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოველთვის ნდობითა და გულისხმიერად როდი ხვდებიან კოლონიიდან გასულ მოზარდს.

როგორია ჩვენი თხოვნა საზოგადოებრიობის მიმართ? — მობრძანდით, დაგვეხმარეთ! დაუთმეთ მეტი ყურადღება და მიეცით მეტი გულის სითბო ჩვენს საქმიანობას, ჩვენს აღსაზრდელებს აგრძნობინეთ თქვენი გულისტკივილი და დაინტერესება მათი ბედით.

მოიგონეთ, როგორ ზრუნავდა მაკარენკოს კოლონიის აღსაზრდელებზე ა. მ. გორკი, როგორ უნერგავდა მათ რწმენას.

და ბოლოს: ნუღა დაგვიბრუნებთ უკან ჩვენს აღზრდილებს, იფიქრეთ ყველა მათგანის ბედზე.



ა. ჯიოევა,
ცხინვალის სპეცსკოლის აღმზრდელი-პედაგოგი

ჩვენს წინაშე დიდი საპასუხისმგებლო ამოცანაა: ბავშვთა სწავლა-აღზრდის პროცესში უზრუნველვყოთ მათი სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივი განვითარება.

ამ ამოცანის სიძნელე განპირობებულია ამა თუ იმ გადახრებით ბავშვის განვითარებაში, რასაც იგი ხშირ შემთხვევაში აკადემიურ ჩამორჩენილობამდე მიჰყავს.

ამ გადახრების მიზეზი შეიძლება გამოწვეული იყოს: პედაგოგიური პროცესის არასწორი ორგანიზაციით, თვით ბავშვის ხუსტი ორგანიზებულობით, უმეთვალყურეობით ოჯახში და უდისციპლინობითა და აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტით სკოლაში. არიან ბავშვები თანდაყოლილი, ან მძიმე დაავადების შედეგად შეძენილი ნაკლოვანებებითაც — გონებრივად და ფიზიკურად განუვითარებელნი.

ჩვენი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა — ყველა მიზეზთა ანალიზი და მათი შედეგების დაძლევა.

უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, ყველა მშობელი ვერ ამჩნევს მის ბავშვში მომხდარ ასაკობრივ ცვლილებებს და იწყებს მის შეზღუდვას. მოზარდს კი სჭირდება მეტი ნდობა, თავისუფლება და ამავე დროს მშობლის ბრძნული ხელმძღვანელობაც. აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში, მშობლები დაწყებით კლასებში არ აკონტროლებენ ბავშვს, რის შედეგად იგი უკვე V კლასიდან იღებს ორიანებს. აქედან იწყება ბავშვის თავისუფლების შეზღუდვა. ბავშვი ვერ ეგუება ამ ახალ მოთხოვნებს, გულს იცრუებს სწავლაზე, გარბის სახლიდან და ექცევა არასასურველი გავლენის ქვეშ.

აუცილებელია, უმცროსი ასაკიდანვე მივაჩვიოთ ბავშვი დღის რეჟიმს. რით ვახერხებთ ბავშვებზე ზემოქმედებას? — ვცდილობთ დავუბრუნოთ დაკარგული წონასწორობა, ადამიანური ღირსება, საკუთარი თავისადმი რწმენა და პატივისცემა. თუ მოზარდი გრძნობს, რომ ის ძვირფასია შენთვის, ცდილობს უკეთესი იყოს.

ბავშვთა აღზრდაში დიდად გვეხმარება მშობლებთან მიწერ-მოწერის სწორი ორგანიზაცია. ვცდილობთ მოხერხებულად გამოვიყენოთ ბავშვის სიყვარული მშობლებისა და ნათესავებისადმი.

დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს სკოლას ქალაქის საბჭოს დეპუტატები, ქუჩის კომიტეტები, ფრიადოსანი მოსწავლეები.



მ. გელიევა,
ბავშვთა განმანაწილებელის პედაგოგი.

ჩვენთან, უმთავრესად, მოდიან გათიშული, ან მოუწესრიგებელი ოჯახების შვილები, უმეთვალყურონი და უწესო ამხანაგებს აყოლილნი, ან სწავლას ჩამორჩენილნი. მაგრამ არიან მოგზაურობის მოყვარულებიც, — ზოგი მათგანი რომანტიკულ ოცნებას გამოჰყოლია საქართველოში.

ვეძებთ მათ ადგილსამყოფელს, მშობლებს და ვუბრუნებთ უკანვე. რაც შეეხება უპატრონოებს, ან ისეთი ოჯახის შვილებს, რომლებსაც არ ძალუძთ ბავშვის წესიერად აღზრდა, ვანაწილებთ სპეცსკოლებსა და ინტერნატებში.

ეს პროცესი სულ რამდენიმე დღეს მოითხოვს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი 2-3 თვესაც რჩება ჩვენთან. ასეთ ბავშვებთან ვატარებთ აღმზრდელობით მუშაობას, ვაჩვევთ მათ შრომას, ვასწავლით...

რა მიმაჩნია ჩვენი მუშაობის ნაკლად?

ის, რომ ერთ ჭერქვეშაა თავმოყრილი სხვადასხვა ასაკის, სქესისა და ჩვევის ბავშვები.

მაგალითად, ჯგუფში, სადაც ტარდება მეცადინეობა, ერთად არიან ბავშვები 8-დან 15 წლამდე (ზოგჯერ მეტი ხნისანიც).

და რაც მთავარია: ამ პირობებში ბუნებრივია ზოგიერთი ბავშვის უარყოფითი გავლენა დანარჩენებზე. საჭიროა, როგორც მათი, ისე გოგონებისა და ვაჟების ერთმანეთისაგან იზოლირება.

**საუბარი გაგრძელდება**

# ხალხური ანდაზები

ყვავს შვილი მოუკვდა და ბუს მიუგდო, დიდი თავი გაქვს, იტირეო.

შვილი გაზარდე მტრულადა, გამოგადგება ძმურადა.

შვილმორეული მტერმორეულზე უარესიაო.

წნელი პატარაობისას თუ არ მოიგრიხა, დიდი აღარ მოიგრიხებაო.

ბევრი გამზრდელი ბავშვს ვერ გაზრდის.

გოროტი შვილის დედასა რა მოაშორებს სევდასა?

დედაკაცი შვილების გაზრდით ფასდება.

დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე.

ერთი ბავშვის გაზრდა ერთი ბათმანი ფეტვის გახვრეტაზე ძნელია.

ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხოზე მარტი

ვინ არის ხოზე მარტი? — დიდი კუბელი პოეტი, მოაზროვნე, რევოლუციონერი, „კუბის თავისუფლების მოციქულად“ წოდებული ეროვნული გმირი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი, რომელიც განსაკუთრებით ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა კალმით და იარაღით. 1853 წელს ჰავანაში დაბადებულს, მუდამ მაღლა ეჭირა ლათინური ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშა, ცხოვრობდა ციხეში, განდევნილობაში, წერდა, იბრძოდა და არ მოუხარა ტირანებს ქედი, ვიდრე 1895 წელს გმირულად არ დაეცა, მოძალადეთა ტყვიით განგმირული, „მზისკენ პირმობრუნებული“. მისი უკანასკნელი სიტყვებია: „მამულისათვის სიკვდილს ჰქვია სიცოცხლე!“

თუმცა მარტიმ თვითონ ვერ იპოვა თავისი დიდი ცხოვრებისა და ბრძოლის ჭეშმარიტი თანამგზავრი, მეუღლემ ვერ გაიგო მისი ტანჯვის და იმედის, ბრძოლისა და შემოქმედების აზრი, მაგრამ მაინც მუდამ სწამდა ქალისა და მამაკაცის მეგობრობა, ბევრს მუშაობდა ამ საკითხზე და ამისი მაგალითია ორი კლასიკური წერილი, მიწერილი თავისი ახალგაზრდა დისადმი.

ვფიქრობთ, დიდი კუბელი მოაზროვნის ეს ცნობილი წერილები, რომლებიც მრავალ ევროპულ ენაზეა თარგმნილი, ახალგაზრდა ქართველ ქალებსაც დააინტერესებთ.

## სიყვარული ყველა გრამატიკაზე ძვირფასია

ჩემო ძვირფასო დაო ამელია!

ახლა, ამას რომ ვწერ, თვალწინ შენი ძვირფასი წერილი მიდევს, როგორც სხივთა ყვავილწნულივით უცხო რამ სამკაული. ამ იშვიათ სპეტაკ სტრიქონებს შორის ვხედავ შენს შეუბღალავ სულსა და ფაქიზ ბუნებას, მაისის ვარდის სურნელებასავით რომ იფრქვევა. ამიტომ მინდა თავი დაიცვა ძალუმი, უწყალო და მაცდური ქარებისაგან, შენსავე არსებაში ჰპოვო საიმედო თავშესაფარი, როცა ეს უნდო ქარები თავს აიხსნიან და უხეშად გცემენ სახეში. უნდა იცოდე, ისევე როგორც ცაში მტაცებელი ფრინველები დანავარდობენ, დედამიწაზე თავაშვებული ქარები ქრიან სურნელოვან ყვავილთა გასაძარცვავად. მთელი ცხოვრების ბედნიერება ის არის, ამელია, რომ შენს ასაკში ასე ძლიერ მოზღვავებული უბრალო ვნება არ ჩათვალო იმ სრულფასოვან, ღრმა და ყოვლისმომცველ სიყვარულად, რომელიც სულში მხოლოდ გარკვეული გამოცდის შემდეგ იჭრება და სადგურდება სიყვარულის საგანთან ხანგრძლივი ცხოვრებისა და მისი ზედმიწევნით შესწავლის შედეგად. ჩვენს დედამიწაზე ერთი დალახვრული დაბნეულობა ბატონობს: წამიერ გატაცებას ხშირად ურევენ იმ მომწიფებულსა და მტკიცე სიყვარულთან, მხოლოდ ქორწინებაში რომ პოულობს სავანეს და იმსხვრევა მხოლოდ მაშინ, როცა გულები იმსხვრევიან. ხდება ხოლმე, რომ ქალი და კაცი, იმის ნაცვლად, რომ თავიანთ გრძნობას ღრმად ჩაუფიქრდნენ, ახალგაზრდული სისხლის დუღილით გამოწვეულ წამიერ მიდრეკილებას თვლიან სიყვარულად, რაც მხოლოდ ხანგრძლივი საქმიანი თანაცხოვრების შედეგად წარმოიშობა, აჰყვებიან ხოლმე სურვილს, რაც ნაკარნახევია არა მოპირდაპირე მხარის ღრმა ზეგავლენით, სიყვარულის ჩანერგვით, არამედ სურვილით, რომ ვინმე შეიყვაროს, გამოსაცდელი მოწაფეებივით ცდებიან და უდროო დროს ნებდებიან სამტროდ ატეხილ ქარებს.

ნამდვილად დინჯი სულისა და განათლებული გონების ქალმა უსათუოდ უნდა გაარჩიოს ეს გრძნობა, ნამდვილ სიყვარულს რომ ჰგავს და სინამდვილეში არის არა ნამდვილი სიყვარული, არამედ მხოლოდ უბრალო სურვილი, რაც შეიძლება ყოველმა რიგიანმა მამაკაცმა ერთნაირი წარმატებით გაუღვივოს გულში, უნდა გაარჩიოს იმ ერთადერთი და დიდებული სიყვარულის გრძნობისაგან, რასაც არ შეუძლია არსებობა იმის მტკიცე რწმენის გარეშე, რომ მეორემ, რომელსაც პირველი უკავშირდება, თავისი ერთგულებით, ზრუნვით, მშვენიერებით თუ სიფაქიზით სავსებით მოინადირა მისი გული, მოიპოვა მისი ნაზი და ფასდაუდებელი სიყვარულის უფლება, რაც სიკვდილამდე უნდა გაგრძელდეს.

შენ ხედავ, როგორი სულიერი ექიმიც ვარ, და გეფიცები ჩემი ერთადერთი ვაჟის თავს, რომ ყველაფერი ეს, რაც ახლა გითხარი, ნამდვილი ბედნიერების ერთადერთი გზაა, და ვინც ამ გზას არ გაჰყვება, არასოდეს ბედნიერი არ იქნება. ბევრი რამ მინახავს სხვის სულში და ბევრი რამ განმიჭვრეტია საკუთარში. მიჰყევი ჩემს რჩევას, არ დაიჯერო, ჩემო დაო ამელია, რომ ვულგარულ რომანებში აღწერილი მოჩვენებითი ბედნიერება ცხოვრების სინამდვილეს შეესაბამებოდეს. ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც წაიკითხა, როგორ ელვასავით დაიბადა მისი საყვარელი გმირი ქალების გულში ყოვლისშემძლე და ყოვლისდამანგრეველი სიყვარული, ფიქრობს, რომ ახლა მისი ჯერი დგება ადამიანურ გრძნობათა თამაშში, რადგან პირველი ტკბილი განცდები უკვე ხალასი ოქრო ჰგონია, და მისი გრძნობაც ისევე ანაზდეული, ისეთივე სახის, იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## როგორი ტანსაცმელი მოგვიხდება?



„როგორი ფასონის კაბა, კოსტუმი და პალტო მოგვიხდება მსუქან ქალებს, განსაკუთრებით, საშუალო ასაკისანებს და ხანდაზმულებს?“ — გვეკითხებიან მკითხველები. ამის პასუხად ვბეჭდავთ მხატვარ-მოდელიორის ნ. ბელიაკოვას წერილს.

ფასონის შერჩევამდე ჯერ ქსოვილი უნდა ავირჩიოთ. პირველი პირობა: შალის ქსოვილი არ უნდა იყოს ძალიან რბილი — ის ტანს ეტმასნება და ნაკვთებს მეტად აჩენს. ასევე არ გირჩევთ სქელი, რელიეფური ზედაპირიანი ქსოვილის ყიდვას — ამგვარ ქსოვილში გახვეული ტანი უფრო დიდი გამოჩნდება.

აბრეშუმეულიდან უარი უნდა ვთქვათ ძალიან მსუბუქ, გახევებულ ქსოვილებზე — კაპრონზე, ნეილონზე, ზოგიერთი სახის ბუნებრივ და ხელოვნურ შიფონზე. თუმცა, ხელოვნური შიფონისგან შეიძლება საღამოს გამოსასვლელი კაბის შეკერვა. ოღონდ მას უეჭველად მტკიცე სარჩული უნდა დაედოს. მსუქანი ქალისათვის არც ტაფტის ტიპის ქსოვილი ვარგა — ტანზე ჩაცმულ კაბას ნაოჭები და ნაკეცები უჩნდება და აღნაგობის დეფექტს ეს კიდევ უფრო აშკარავებს.

ახლა ფერებზეც ვიფიქროთ. შალის ქსოვილები მეტწილად სადა, ერთი ფერი გამოდის. მისი ფერების გამა მეტად მრავალფეროვანია, შავიდან — ღია ვარდისფრამდე, იასამნისფრამდე, მომწვანო, მოცისფრო, მოყვითალო ფერებამდე. მსუქან ქალებს შეუძლიათ ღია ფერის ტანსაცმელი ჩაიცვან, ოღონდ ის მყვირალა არ უნდა იყოს. არჩევანის შეჩერება შეიძლება, მაგალითად, მონაცრისფრო, იასამნისფერ და ღია ვარდისფერ ტონებზე. ასევე კარგია ჩამქრალი ყვითელი ფერებიც, მაგრამ სრულიად დაუშვებელია მომწვანო ლიმონისფერი.

აბრეშუმის ქსოვილები მეტწილად მოჩითულია. სამართლიანად არის დადგენილი, რომ დიდრონი ყვავილები თუ სხვა ნახატი, და ხასხასა, მყვირალა ფერები მსუქან ქალს არ უხდება. ხოლო თუ ნახატი მშვიდია, მისი კონტურები — წაშლილი და ერთი ტონი შეუმჩნევლად გადადის მეორეში, ან თუ ფერადი ლაქები ნაჭერზე თანაბრად არის განლაგებული, ასეთი ქსოვილი ყოველგვარ ტანს მოუხდება. ზოლიანი და კუბოკრული ქსოვილებიდან უფრო მშვიდი შეხამების ფერები აირჩიეთ. მაგალითად, შავი და წენგოსფერი უჯრედები ყავისფერ ფონზე ან ღია ნაცრისფერი, ღია სოსანისფერი — თეთრზე.

მოდის ცვალებადობა თავდაპირველად სილუეტს ეხება. მაგრამ მსუქანი ქალების ტანსაცმლის სილუეტი შედარებით ნაკლებცვლილებას განიცდის — ტანზე ნახევრად-მომდგარი, სწორი ან ქვევით ოდნავ გაგანივრებული ქვედატანით.

კაბის სიგრძე შუა მუხლიდან 5-8 სმ მაინც უნდა იყოს.

მსუქან ქალებს ძალიან უხდებათ მოდელები ვერტიკალურად (სიგრძივ) განლაგებული ხაზებითა და მოსართავებით. ასეთი ხაზები ქალს უფრო ტანკენარს აჩენს. ტანსაცმლის ნაწილები ერთმანეთს უნდა ეხამებოდეს. თუ ჯიბე ან ჯიბეების სარქველი სწორკუთხედი ფორმისაა, ასეთივე მოყვანილობა უნდა ჰქონდეს საყელოსაც, ოღონდ, თუ საყელო დაგვირისტებულია, ჯიბეები, ქამარი და სხვა დეტალები აღარ უნდა დააგვირისტოთ.

თანაბრად გასუქებულ, ჩასწორებულ ტანს ნახევრად მომდგარი სილუეტი მოუხდება, ოდნავ დაბლადაშვებული წელის ხაზით. ამგვარი ტანის ქალებს ხშირად დაბალი კისერი აქვთ და მათ დამდგარი საყელო არ მოუხდებათ.

ქვედატანი უმჯობესია სწორი ან ბოლოში ოდნავ გაგანივრებული იყოს. როგორც უკვე ვთქვით, ვერტიკალური ხაზები ტანს გამხდარს აჩენს და ამიტომ კოკეტსა და სხვა ჰორიზონტალურ (განივ) ხაზებს უნდა ერიდოთ.

თეძოგანიერმა და მხარბეჭიანმა ქალებმა ყოველთვის ისეთი ხაზები უნდა აირჩიონ, რომლებიც ტანს თითქოს ორად ჰყოფენ. ასეთია მაგალითად, რელიეფური ნაკეცები, გვირისტი, თამასა. ფართო მხრებს თითქოს ავიწროებს დაფენილი საყელოც.

თუ კაბას წელში გადაჭრილს იკერავთ, წელის ხაზი 3-5 სანტიმეტრით უნდა დაადაბლოთ. ამ ხაზს შეიძლება ზევიდან დეკორატიული გვირისტი გაუკეთდეს, შეიძლება ვიწრო ქამარი დაედოს.

ვისაც ვიწრო წელი და განიერი თეძოები აქვს, ვთავაზობთ ტანზე ნახევრად მომდგარ მოდელებს ბოლოში გაგანივრებული ქვედატანით. კაბა-კოსტუმის ზედატანი მოკლე უნდა შეიკეროს, ქვედატანი — ოდნავ გაგანივრებული. ქამარი წელის ხაზზე დაბლა დამაგრდება. ამ შემთხვევაში სიგრძეზე დაგვირისტება და სხვა რელიეფური ხაზები ქვედატანზე უნდა გაკეთდეს.

მაღალ მკერდსა და ასევე — მაღალ წელს თეძოებზე შემოდებული ქამარი დაშვენდება.

აი, ძირითადში ის ხერხები, რომელთა მოშველიებით მსუქანი ქალი უფრო კოხტა და ტანადი გამოჩნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოსტნეულის ქება

## „სასწაულმოქმედი" ხახვი

შუა საუკუნეებში ხახვის ბოლქვს სასწაულებრივ თვისებებს მიაწერდნენ, სწამდათ, რომ თუ ის მეომარს ექნებოდა, ტყვია და სხვა ბასრი იარაღი მას ვერაფერს დააკლებდა. ფოლადის ჯავშანში შემოსილ რაინდებს გულზე ეკიდათ ჩვეულებრივი ხახვი — მათი აზრით, გამარჯვებისა და ძლიერების სიმბოლო.

ძველ საბერძნეთსა და რომში მეომრების ულუფაში დიდი რაოდენობით ამატებდნენ ხახვს იმ მოტივით, რომ ის აღაგზნებდა, ძალასა და მამაცობას მატებდა ადამიანს.

ხახვი მართლაც მეტად სასარგებლო ბოსტნეულია. იგი მოიხმარება მწვანე ფოჩისა და ბოლქვის სახით. ხახვი, როგორც საკმაზსანელებელი, აუმჯობესებს საჭმლის გემოს და ხელს უწყობს მის უკეთ მონელებას.

მწვანე ხახვი შეიცავს: 92,5 პროცენტამდე წყალს, 1,3 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებებს, 1,3 პროცენტ შაქარს, 0,9 პროცენტ უჯრედისს, 1 პროცენტ ნაცარს. ხოლო მისი ბოლქვი კი შესაბამისად: 86,5-3, 1-10, 0-0, 7-0,7 პროცენტებს.

ხახვი (განსაკუთრებით, მწვანე ხახვი) მდიდარია აგრეთვე ვიტამინებითაც. ასე, მაგალითად: 100 გრამ მწვანე ხახვში ვიტამინი C გვხვდება 30-60 მგ, კაროტინი (A პროვიტამინი) კი — 4-6 მგ. ხახვის ბოლქვი შეიცავს 0,08-0,11 მგ ვიტამინ B-ს. და 2-10 მგ ვიტამინ C-ს.

აზოტოვანი ნივთიერებების, შაქრების, მინერალური მარილებისა და ვიტამინების შემცველობის მხრივ ხახვი წარმოადგენს ძვირფას პროდუქტს ადამიანის კვებაში.

ხახვს სამკურნალო თვისებებს მიაწერდა მსოფლიოს ყველა ხალხი. შუა საუკუნეების ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ხახვის მარტო სუნიც კი იცავს ადამიანს დაავადებებისაგანო.

საბჭოთა მეცნიერებმა ბ. პ. ტოკინმა და მისმა მოწაფეებმა დაამტკიცეს, რომ ხახვისაგან გამოყოფილი აქროლადი ნივთიერებები ანადგურებს ლპობადი ავადმყოფობის გამომწვევ მრავალ ბაქტერიას, უმარტივეს ცხოველებს, ინფუზორიებს და სხვა.

დადგენილია, რომ ხახვი აუმჯობესებს სასუნთქი ორგანოების მუშაობას, წმენდს ბრონქებს, არჩენს ხველას და გრიპს, დამტკიცებულია ისიც, რომ თუ ხახვთან ერთად კარტოფილს და ხილს შევინახავთ, მათი შენახვის ხანგრძლივობა დიდდება.

## ნიორი მკურნალი

ბოსტნეულთა შორის ნიორი ერთ-ერთი უძველესი კულტურაა, რომელიც ხალხში ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ნიორი ქიმიური შემადგენლობით ხახვს უახლოვდება, ოღონდ, ხახვისაგან განსხვავებით, იგი ღარიბია ვიტამინებით. ნიორი შეიცავს 65 პროცენტამდე წყალს, 6,8 პროცენტამდე აზოტოვან ნივთიერებებს, 10 პროცენტამდე შაქრებს, 0,5 პროცენტამდე მინერალურ ნივთიერებებს, 0,8 პროცენტამდე უჯრედისს, 1,7 პროცენტამდე ნაცარს.

ჩვენამდე მოღწეულ სიძველეთა ძეგლებში არის ცნობები, რომ ნიორი მარტო გემრიელი და მადის მომგვრელი სანელებელი კი არა, ეფექტური სამკურნალო საშუალებაც ყოფილა. ადამიანები მას იღებდნენ დაღლილობის დროს და დაღლილობა ქრებოდა. ნიორს მტკივან კბილში ჩაიდებდნენ და მწვავე ტკივილი უყუჩდებოდათ. სურდოთი დაავადებულ ადამიანს ცხვირის ნესტოში დასრესილი ნივრის წასმით მდგომარეობა მაშინვე უმსუბუქდებოდა. ნიორს იყენებდნენ აგრეთვე შავი ჭირის, ტუბერკულოზის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების სამკურნალოდ, ორგანიზმიდან ჭიების გამოსადევნად, ქვებისა და ქვიშის წარმოშობის ასაცილებლად, მრავალი დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საშუალებად და სხვ.

ნივრის მეცნიერულად დასაბუთებული გამოყენება დაიწყო მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ის შეიცავს ფიტონციდებს, ნივთიერებებს, რომელიც მიკრობებს სპობს.

პროფ. ბ. ტოკინი აღნიშნავს, რომ სულ ცოტა ნივრის დაღეჭვა ნიშნავს პირის ღრუს სტერილიზაციას. ცნობილია აგრეთვე, რომ დანაყილ ნიორს შეუძლია 250-300 საათის განმავლობაში ხოცოს მიკრობები. ნივრისაგან დამზადებული სპირტიანი წამალი — ალილსატი იხმარება ათეროსკლეროზისა და კუჭ-ნაწლავის მოდუნების დროს. ნიორი სტიმულს აძლევს აგრეთვე გულის მუშაობას.

ჩინელი მეცნიერების გამოკვლევებით, ნივრის ხსნარი დიზენტერიის დროს იძლევა სწრაფ ეფექტს. კანის დაავადებისას ნიორი აჩერებს ანთებით პროცესს, ამცირებს გასიებას, ხელს უწყობს ახალი ქსოვილების ზრდას და სხვა.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერი აკადემიკოსი ზელინსკი აღნიშნავდა: „რა არის ორგანიზმისათვის სასარგებლო? უპირველესად ყოვლისა, ნიორი და ხახვი. ესენია ყველაზე მძლავრი ანტისეპტიკური საშუალებანი. იმ წამლის მაგიერ, რომელიც არჩენს, მაგრამ ამავე დროს ანადგურებს კიდეც ორგანიზმს, მიიღეთ დღეში 5-6 გრამი ნიორი, აი, ის დაიცავს ორგანიზმს ნაადრევი მოხუცებულობისაგან. ნიორი სპობს ადამიანის ორგანიზმში ბაქტერიებს, კურნავს ანგინას, უხდება პელაგრას და რევმატიზმს. ნიორი იცავს ორგანიზმს ათეროსკლეროზისა და ტვინის სნეულებებისაგან".

თანამედროვე მედიცინაში იყენებენ ნივრისაგან დამზადებულ მრავალ ანტისეპტიკურ პრეპარატს, რომელთა შორის, ალილსატის გარდა, აღსანიშნავია: დეფენზონატი, ალიცინი, სატივინი და სხვა.

ნივრის ღირსება მარტო ამით როდი ამოიწურება. თუ ნივრის დარჩეულ კბილებს ხორბლით, სიმინდით ან ბურღულით სავსე ტომარაში მოვათავსებთ, ეს მარცვლეულს დაიცავს ხოჭოებისაგან.

ბევრი ნიორს არ ჭამს იმ მიზეზით, რომ მისი მიღების შემდეგ პირის ღრუში რჩება არასასიამოვნო სუნი. ამას კი სულ ადვილად ეშველება: ნივრის შეჭმის შემდეგ დალეჭეთ ხმელი ჩაი.



## პრასა

პრასა ძველთაგანვე ცნობილი ბოსტნეულია. საჭმელად მოიხმარება მისი მწვანე ფოთლები და ცრუ ღერო. პრასა გამოიყენება სუფრის მწვანილად, მხალად და დასამწნილებლად.

პრასის ბოლქვი შეიცავს: 87,5 პროცენტ წყალს, 3 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებებს, 0,5 პროცენტ შაქარს, 1,5 პროცენტ უჯრედისს, 1,2 პროცენტ ნაცარს, ფოთლე-

ბი კი, შესაბამისად — 90,8 — 2,1, — 1,3 — 0-8 პროცენტს. პრასაში არის აგრეთვე ვიტამინებიც.

პრასა შეიცავს ეთერზეთებს, რომლისგანაც დამოკიდებულია ამ ბოსტნეულის სპეციფიკური სუნი და გემო. მისი მოხმარება უფრო მიზანშეწონილია წლის ცივ პერიოდში, რადგან ამ დროისათვის ნაკლებადაა ახალი ბოსტნეული. თანაც, ამ დროისათვის, დაბალი ტემპერატურის ზეგავლენით, მისი ფოთლები ნაზი და სასიამოვნო ხდება.



# წიწაკა

ბოსტნეულთა შორის ვიტამინის მაღალი შემცველობით პირველ ადგილზეა წიწაკა. 100 გრ წიწაკის ნაყოფი შეიცავს 39,6-271 მგ C ვიტამინს და სიცოცხლისათვის სხვა მრავალ ძვირფას ვიტამინებს: კაროტინს — 23 მგ. ვიტამინ P-ს — 48 მგ, ვიტამინ PP-ს — 0,6 მგ და 6%-მდე შაქარს. მომწიფებასთან ერთად იზრდება ნაყოფში C ვიტამინის შემცველობაც და ყველაზე მეტი (125-306 მგ) არის მწიფე ნაყოფში.

შედარებით ნაკლები რაოდენობითაა წიწაკის ნაყოფში $B_1$ და $B_2$ ჯგუფის ვიტამინები.

წიწაკის ნაყოფი მდიდარია კალიუმის, ფოსფორის, რკინის, მაგნიუმისა და კალციუმის მარილებით. ყოველივე ზემო აღნიშნულის გამო, წიწაკას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ვიტამინი C (რომელსაც ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს წიწაკა) აწესრიგებს ადამიანის ორგანიზმში ცილებისა და ნახშირწყლების ცვლას, აჩქარებს ჭრილობებისა და გატეხილი ძვლების შეხორცებას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მოშუშებას, კეთილ გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე და ა. შ.

**შ. ოზოლაძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

## სასარგებლო რჩევები

# კვლავ თაფლის შესახებ

მიმდინარე წლის აგვისტოში ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდა ანგარიში რედაქციაში გამართული საუბრისა, რომელიც შეეხებოდა ქართულ ფუტკარს. საუბრისას გამოითქვა ბევრი სასარგებლო რჩევა, თუ როგორ გამოვიყენოთ თაფლი შინაურული წესით მედიკამენტების დასამზადებლად, როგორ გამოვიყენოთ თაფლი სამზარეულოში, როგორ გამოვიცნოთ თაფლი ყიდვისას.

ვაქვეყნებთ ამ რჩევებს:

თაფლის უშუალო მიღება კოვზით მიზანშეწონილი არ არის, რადგან საჭმლის მომნელებელი სისტემა ვერ ასწრებს მის მთლიან შეთვისებას, უკეთესია თაფლის მიღება ჩაისთან, რძესთან, პურთან, სხვადასხვა ფაფასთან, ხილთან ან ბოსტნეულთან ერთად.

მოხუცებულობის ასაკში უძილობის დროს რეკომენდებულია თაფლის მიღება თბილი წყალხსნარის სახით (2-3 ჩაის კოვზი, გახსნილი 1/2 ჩაის ჭიქა წყალში).

ძუძუმწოვარა ბავშვებს აძლევენ თაფლის მეტად მცირე დოზას. პირველად ჩაის კოვზის 1/8 ნაწილს 1/2 ჩაის ჭიქა რძეში არეულს. შემდეგ შეიძლება ამ დოზის გადიდება 1 ჩაის კოვზამდე.

ფაღარათის დროს კარგია ბავშვებს მიეცეს თაფლით შემტკბარი ჩაი.

სახლში შეიძლება დამზადდეს თაფლის შემცველი მედიკამენტები.

1. გრიპის დროს რეკომენდებულია თაფლისა და ნივრის ნარევი. მას შემდეგნაირად ამზადებენ: იღებენ ნივრის რამდენიმე კბილს და სრესავენ. შეფარდებით 1:1 ურევენ ყვავილის ნატურალურ თაფლს და ძილის წინ იღებენ ერთი სუფრის კოვზის ოდენობით. შემდეგ აყოლებენ ნახევარ ჩაის ჭიქა ანადუღარ წყალს.

2. სისხლის მაღალი წნევისა და გულით დაავადების შემთხვევაში შემდეგი რეცეპტით სარგებლობენ:

იღებენ 1-2 ლიმონს, გამოწურავენ, წვენს უმატებენ 2-3 ჩაის კოვზ თაფლს და კარგად ურევენ (თუ თაფლი დაშაქრებულია, შეიძლება მიემატოს ცოტაოდენი თბილი წყალი), თაფლისა და ლიმონის წვენის ნაზავს ღებულობენ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზს, საჭმლის მიღების წინ ნახევარი საათით ადრე.

3. ღვიძლის დაავადების შემთხვევაში ზოგჯერ ხმარობენ შემდეგნაირად დამზადებულ წამალს: 1 კგ სუფთა ნატურალურ თაფლს აზავებენ 3 ლიტრ რძეში. ნაზავს ადუღებენ 6 საათის განმავლობაში და თან ურევენ. წარმოიშვება ნახევრად მკვრივი მასა, რომელსაც მიიღებენ სამჯერ დღეში თითო ჩაის კოვზს.

4. ვისაც სურს ჯანსაღი კბილები ჰქონდეს დილას და განსაკუთრებით საღამოს თაფლწყლით უნდა გამოირეცხოს პირი.

### როგორ ვიყიდოთ თაფლი?

როცა თაფლს ვყიდულობთ, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ფალსიფიცირებული თაფლი შეიძლება იყოს თხევადიც და დაშაქრებულიც, ამიტომ თაფლის ფიზიკური მდგომარეობით მისი ხარისხის გამორკვევა შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია თაფლის ხარისხის შემოწმება ქიმიური ფანქრის საშუალებით. მისი ხარისხი მხოლოდ ქიმიური ანალიზით შეიძლება დადგინდეს.

რაც უფრო ღია ფერისაა თაფლი, მით უფრო მაღალხარისხოვანია იგი.

ბუნებრივ თაფლს ყვავილების ნაზი სურნელება ახასიათებს. თუ თაფლსს არავითარი სუნი არა აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ან გადაცხელებულია ან ფალსიფიცირებული.

თაფლი არ უნდა იყოს მწლაკე, მწარე ან მჟავე. მას უნდა ახასიათებდეს ნაზი სიტკბოება.

ზამთრის თვეებში და ადრე გაზაფხულზე ვერიდოთ თხევადი თაფლის ყიდვას, რადგან ამ დროისათვის თაფლი უმთავრესად დაშაქრებულია, და თუ ბაზარზე დაახლოებით ნოემბრიდან მაისამდე თხევადი თაფლი იყიდება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გადაცხელებით არის გალღობილი.

თხევადი, ახალგამოწურული სურნელოვანი თაფლი ვიყიდოთ მაისიდან სექტემბრამდე. დროის ამ მონაკვეთში თუ ბაზარზე დაშაქრებული თაფლი იყიდება — ძველია.

უნდა ვერიდოთ ეზოებში მოსიარულე თაფლის კერძო გამყიდველებს.

გადაბეჭდილფიჭიანი ჩარჩოების ბაზარზე ყიდვა არ იძლევა აბსოლუტურ გარანტიას, რადგან ასეთი ფიჭები ხშირად შაქრიან თაფლს შეიცავენ.

თაფლის ფერმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მყიდველი. ზოგს ჰგონია, რომ უფერული ანდა თოვლივით თეთრი თაფლი „შაქრიანია", ყვითელი ფერის თაფლი „შეღებილია". მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ ფერის მიხედვით თაფლის გამოცნობა არ შეიძლება.

თუ თაფლი მეტისმეტად გამჭვირვალეა, შეიძლება ეჭვი შევიტანოთ მის ნატურალობაში. ბუნებრივი თაფლი ოდნავ მღვრიეა, ყვავილის მტვრისა და კოლოიდური ნაწილაკების არსებობის გამო.

**ზ. მაჟაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეატა ბიშოპი

# საიდუმლოება



მხატვარი თ. ჩხარტიშვილი

ლონდონის მაღალი საზოგადოების მოდების კანონმდებელმა, ყველაზე ავანგარდული ატელიეს მფლობელმა შოკეტა ბერდენმა თავის ულტრა-მოდერნულ სალონში მიგვიღო.

— მომავალი წლისათვის, — განგვიცხადა მან, — ახალი სტილი შემომაქვს — ხის ელასტიკა. მომავალ ოთხშაბათს ჩემი ახალი კაბების, კოსტუმებისა და პალტოების კოლექციით ნიუ-იორკში მივფრინავ. ყურადღება მიაქციეთ ჩემს ტუალეტს.

მას ეცვა ელასტური ფანერის კარგად მომდგარი ხალათი-კაბა და არყის ხის ქერქის წინდები, რომლებიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ტკაცუნობდნენ. ფეხზე ემოსა ნატურალური ფიჭვის ელეგანტური კალაპოტები. ხელში იმავე ფიჭვის ჩანთა ეკავა. ქალბატონ ბერდენს არაჩვეულებრივად უხდებოდა ხის ბურბუშელის ფრიალა პარიკი.

— ეს მე პირველმა მოვიგონე, — თქვა მან, — ახლა ყველა ქალი ჩაიცვამს ხიჭვითა და ნუყრით სავსე შესანიშნავი ბუნებრივი ხის ტანისამოსს. მოსალოდნელია, სულ მცირე, ოთხთვიანი მსოფლიო სენსაცია და მე ამ ხნის განმავლობაში შევძლებ საგაზაფხულო სეზონისათვის მოდელების მოფიქრებას. — შოკეტამ სიგარეტს მოუკიდა და ალი დაუყოვნებლივ მოედო მისი პარიკის ბურბუშელის კულულებს. მან დაუდევრად ჩააქრო დაწყებული ხანძარი და განაგრძო: — ვფიქრობ, გაზაფხულისათვის მოვამზადო კოლექცია სახელწოდებით „ხმა და შუქი“, ესე იგი, ტანსაცმელი, რომელშიც ჩამონტაჟდება ელექტრონათურები და ხმის ჩასაწერი ლენტები. ვინც კი ამ კაბას ჩაიცვამს, იციმციმებს, იკიაფებს და იყლერებს, თვითონაც რომ არ უნდოდეს, ხმისა და შუქის გამორთვა შეუძლებელი იქნება. ჩემი ელექტრომონტიორები და ხმის ინჟინრები ახლა ამაზე მუშაობენ. ხის ელასტიკის შემდეგ სწორედ შესაფერი სტილია, ხომ ასეა?

შოკეტა გატაცებით განაგრძობდა თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის გაზიარებას:

— ამას გარდა მინდა გავაოცო სამყარო რაღაც სრულიად ახლით და გადასარევით. — მან გაპრიალებული ფანერის ფრჩხილებით შემკობილი თითები ნერვიულად ააკაკუნა მაგიდაზე და აღელვებით დაიჩურჩულა: — ვიმედოვნებ, ჩემს საიდუმლოებას შეინახავთ, და გამოგიტყდებით, ვოცნებობ შევქმნა ისეთი რამ, რაც ჯერ არავის აზრადაც არ მოსვლია: ნამდვი[ლი] ლი რბილი ქსოვილის ტანსაცმელი, ტყავი[ს] ფეხსაცმელი და ჩანთაც იმავე ტყავისა... მაგრამ, იცით, რაშია საქმე, მეშინია, რო[მ] ეს მეტისმეტად ორიგინალური და გაბედუ[ლი] ლი ნაბიჯია... ისე ვღელავ...

შოკეტამ მღელვარებისაგან ცრემლები[ც] კი გადმოყარა და მერე თვალები და ნამდ[ვილი] ვილი ნაძვის წიწვების ხელოვნური წამ[წამები] წამები პერლონის კოხტა ცხვირსახოცი[თ] შეიმშრალა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

გარეკანის პირველ გვერდზე — კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი მანულ[ი] თავართქილაძე. მეოთხე გვერდზე — ავჭალის შუშის ქარხანა, ტექნიკური კონტროლის ოსტატი თინა ხატიაშვილი.
ფერადი ფოტო ნორა ანთიძის.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. 99-50-39. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1.75. პირობით ფორმ. რაოდ. 5.3
ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII, 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000 შეკვ. № 3990 უე 02580 ფასი 30 კაპ.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

# გამოფენიდან— „თბილისი და თბილისელები"



„დედიკომ დაიგვიანა",

ფოტო ს. კილაძის

„ნუგეში".





„მესამე ზედმეტია".

ИНДЕКС 76178

